პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ბოლშევიკური კადრებისათვის

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის 10 დღიური ორგანო

7 | 1935 წელი, 15 აპრილი | № 7

## პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში

### „პრავდას“ მოწინავე

ბედნიერია ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა! იგი არ განიცდის იმ ტანჯვას, არ უხდება გადიტანოს ის განსაცდელი, რომელიც ამახინჯებდა რევოლუციის წინადროინდელი რუსეთის ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილის ცხოვრებას და რომელიც ამახინჯებს ახალგაზრდობის ცხოვრებას უკლებლივ ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში.

საბჭოთა ქვეყანაში მუშათა კლასმა მრავალი წლის თავგანწირული ბრძოლით თავის მემკვიდრეებს შეუქმნა მშვიდი და უზრუნველყოფილი სწავლის შესაძლებლობა, უზრუნველყოფილი ნაყოფიერი მუშაობის შესაძლებლობა. საბჭოთა სტუდენტმა იცის, თუ რისთვის სწავლობს იგი. მეცადინეობის დროს მას თვალწინ არ უდგას სულის გამყინავი, მხნეობის ჩამკვლელი ჩონჩხოვანი აჩრდილი უმუშევრობისა. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი, ოფიციალური ცნობებით, ინჟინრების 40,2 პროცენტი უმუშევარია, და ეს ცნობები როდია სრული, რადგან სტატისტიკაში ხვდებიან მხოლოო ის ინჟინრები, რომლებსაც ჯერ კიდევ არ მოუკიდნიათ ხელი სხვა პროფესიისთვის,—არ გამხდარან მეეზოვეებად, მეკარეებად და ოფიციანტებად. და სრულებით არ ხვდებიან ამ სტატისტიკაში ის ახალგაზრდა „ინჟინრები“ რომლებსაც ინსტიტუტები დაუმთავრებიათ კრიზისის წლებში და რომლებიც ამთავრებენ ამჟამად. ამერიკელი მკვლევარის სიტყვით „მიუხედავად ჩინებული მომზადებისა, მათ არასოდეს არ უმუშავნიათ, როგორც ინჟინრებს და მათ დიდ უმრავლესობას არ აქვს მომავალში მუშაობის არავითარი შანსი“ („ნიუ ესეო“, 12 მარტი.)

უკანასკნელ წლებში ჩვენში პარტიამ და მთავრობამ უდიდესი მუშაობა ჩაატარეს უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების ქსელის განვითარებისათვის, მშენებლობაში დაბანდებულია უამრავი სახსრები, საგრძნობლად, მაგრამ ჯერ კიდევ სრულიადაც არასაკმაოდ გაუმჯობესებულია სტუდენტობის ცხოვრების და სწავლების მატერიალურ საყოფაცხოვრებო პირობები, ჩამორჩენილი იყო სწავლების ხარისხი. ამჟამად აღნიშნულ დარგში უდაო ძვრა გვაქვს. საბჭოთა სტუდენტობის მასა სწავლობს უფრო საფუძვლიანად, უფრო ღრმად.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის მასა ჯანსაღია, მაგრამ აქედან არ უნდა გამოვიტანოთ ის დასკვნა თითქოს უმაღლეს სასწავლებელთა კადრების შერჩევა ჩატარებული იყოს იდეალურად, უმაღლეს სასწავლებლებში თითქოს არ მოიპოებოდენ უცხო ელემენტები. დანაგვიანებას აქვს ადგილი ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში. მას ადგილი ჰქონდა წინათაც და უკანასკნელ წლებში იგი არ შემცირებულა—იგი გაიზარდა კიდეც. ეს არის ერთერთ უმნიშვნელოვანეს უბანზე კლასობრივი რევოლუციური სიფხიზლის შესუსტების პირდაპირი შედეგი, მასწავლებელთა კადრების ცუდი შერჩევის შედეგი. „პრავდის“ მკითხველს ახსოვს, თუ როგორ მოეკალათნათ თვალთმაქცებს დნეპროპეტროვსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ესარგებლად რა პარტიის საქალაქო კომიტეტის მფარველობით. არანაკლები უმსგავსოება ხდებოდა პარტიული ორგანიზაციების ცხვირწინ, როგორც თავის დროზე ვწერდით ამის შესახებ, ნეჟინის პედაგოგიურ ინსტიტუტში და კურსკის უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

სისუსტით დაუყოვნებლივ ისარგებლეს კლასობრივმა მტრებმა, ისინი ცდილობდენ დასაყრდენი პუნქტები შეექმნათ სწორედ უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. ისინი მიძვრებოდენ იმ წრეში, რომელსაც არ მიუღია საბრძოლო პროლეტარული გამობრძმედა.

პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების დოყლაპიობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კლასობრივი მტრის ძირგამომთხრელი მუშაობისათვის. შემსვლელთა კლასობრივი შერჩევის უმნიშვნელოვანესი მუშაობა ბევრ ადგილას ცალიერ ფორმალობად გადააქციეს· მიმღები კომისიები ჩაფლულიყვნენ ქაღალდებში და სრულებით უალაგოდ იყენებდენ წესს, პიროვნებათა მიუხედავად“.

მოსკოვის ბუბნოვის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში 10 დღის განმავლობაში მიმღებმა კომისიამ განიხილა 2.500 მეტი განცხადება და ამ განხილვისას მან „ვერ იხილა“ უცხო ელემენტები, რომლებმაც ინსტიტუტში შეიტანეს მეშჩანური გამხრწნელი გავლენა სტუდენტობის არამტკიცე ნაწილზე. ინსტიტუტში სწავლობდენ საარჩევნო უფლებაწართმეული მსხვილი ვაჭრების შვილები. თეთრგვარდიელი ოფიცრის ქალიშვილი იყო კომკავშირის ორგანიზატორი. უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ზოგჯერ ახერხებდენ შეძრომას ყალბი ქაღალდებით, ყალბი დოკუმენტებით, ცრუ, შეუმოწმებელი ანკეტებით. ერთერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში შემძვრალა ხუცესი.

რევოლუციურმა აღშფოთებამ, რომელიც ჩვენს ახალგაზრდობას მოედო ამხ. კიროვის საზიზღარი მკვლელობის გამო, ამის შემდეგ ერთბაშად გაძლიერებულმა კლასობრივმა სიფხიზლემ ხელი შეუწყო კლასობრივი მტრის ერთგული აგენტების, ხოლო ალაგ-ალაგ მათი მცირეოდენი ჯგუფების აღმოჩენას უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. ნიღაბაფარებული აგენტურა აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მასწავლებლებს შორის. და აქ დოყლაპიობას შედეგად ის მოჰყვა რომ სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების ზოგიერთ კათედრაზე აღმოჩნდენ ტროცკისტები და ზინოვიეველები, ცნობილნი „ყოფილებად“ მათ ანდობდენ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის და პარტიის ისტორიის სწავლებასაც კი. პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებს ამ კათედრებისთვის კონტროლის გაწევა თავის უშუალო საქმედ არ მიაჩნდათ.

თავის დროზე „პრავდამ“ ამხილა ტროცკისტი პროფესორი ვლადიმიროვი, რომელიც კონტრრევოლუციურ ლექციებს კითხულობდა როსტოვის უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო სკოლაში.

ეს შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ როსტოვის პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოვლად შეუწყნარებელი დოყლაპიობა გამოიჩინეს, ხოლო როცა საქმეში ჩაერია აზოვ-შავი ზღვის სამხარეო კომიტეტი, მან ვერ გამოიტანა ყველა დასკვნა ამ ფაქტიდან, პარტიულ კოლექტივებში განსახილველად გაუშვა აბსტრაქტულ-დეკლარატიული დადგენილება და არ უზრუნველყო კრებებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა. შედეგებმა დაუყოვნებლივ იჩინეს თავი: კლასობრივი მტერი უფრო გააქტიურდა.

მტერი საბოლოოდ დამარცხებულია, მაგრამ არ არის საბოლოოდ მოსპობილი, აი რა არ უნდა დაივიწყონ ერთ წუთსაც კი პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. კლასობრივი მტერი ცდილობს შეძვრეს ყოველგვარი ჭუჭრუტანით იმ წრეში, რომელსაც არ მიუღია უშუალო გამობრძმედა პროლეტარულ ბრძოლებში, რომელმაც ძალიან ნაკლები იცის ან თითქმის არაფერი იცის მუშათა კლასის გმირულ წარსულის შესახებ, წარსულში გლეხობის მდგომარეობის, მისი ხელმოკლეობისა და გაჭირვების შესახებ.

პარტიულმა— აღმზრდელობითმა მუშაობამ პირველი ადგილი უნდა დაიკავოს სტუდენტთა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში. ხოლო ამისთვის დროა ხელი ავიღოთ „ზოგად ხელმძღვანელობაზე“ და ნამდვილად შევუდგეთ სტუდენტობის შესწავლას, თვითეულ მოსწავლის გაცნობას. თანაბრად საზიანოა ის, რომ თვალიდან გამოგვეპაროს კლასობრივი მტერი პირველი შეხედვით უდარდელ ახალგაზრდაში, ან კიდევ ადმინისტრატიული ერთგულობით ბოროტ კლასობრივ მტრად გამოაცხადო ყოველი მერყევი სტუდენტი ან ისეთი, რომლის მშობლებსაც რაიმე ლაქა აქვთ ბიოგრაფიაში. საზოგადოებრივ-ეკონომიური დისციპლინები და განსაკუთრებით პარტიის ისტორია მძლავრი აღმზრდელობითი იარაღია ცოცხალი მებრძოლი პარტიული ორგანიზაციის ხელში მოსწავლე ახალგაზრდობაზე ზეგავლენის მოსახდენად, მტრულ კლასობრივ გავლენებთან საბრძოლველად. პარტიის ისტორია შეიცავს პროლეტარული გმირობის რევოლუციური შთაგონების დაუშრეტელ მასალას. იგი, თუ ჯეროვნად არის დაყენებული, გვასწავლის, როგორ უნდა გამოვიცნოთ კლასობრივი მტერი, როგორ უნდა ვებრძოლოთ მას. არაფერი არ არის ისე საზიანო როგორც სოციალურ-ეკონომიური დისციპლინების და განსაკუთრებით პარტიის ისტორიის მოსაწყენ გამოფიტულ სქემებად გადაქცევა.

თავისი ბელადის და მასწავლებლის საგულისხმო სიტყვის თანახმად, პროლეტარიატი ადამიანს ზრდის ისეთივე მზრუნველობითა და სიყვარულით, როგორადაც მებაღე უვლის მცენარეს. კარგი მებაღე დაუზოგავად ამოწვავს სარეველა ბალახებს, მაგრამ ამავე დროს იცნობს და მზრუნველობით უფრთხილდება ყოველ ძვირფას მცენარეს. ჩვენი ახალგაზრდობისთვის ასეთ ზრუნვას მოითხოვს პარტია ყველა პარტიული ორგანიზაციისაგან. ახალგაზრდობის პირველ რიგებში უნდა იდგნენ მუშათა კლასის ახალგაზრდა რევოლუციონერები, ახალგაზრდა ბოლშევიკები, რომელთაც შესწევთ უნარი მტკიცე შეუდრეკელ ხელში დაიჭირონ ლენინ-სტალინის სახელოვანი დროშა, ბრძოლის და სწავლის ენტუზიასტები.

ჩვენი ბრძოლა ახალგაზრდობისათვის არის მწვავე ბრძოლა კლასობრივ მტერთან.

## შეჯიბრებაში ჩაბმა არ არის საკმარისი

ისტორიული ფაკულტეტი დროულად ჩაება მესამე საკავშირო სოცშეჯიბრში. ფაკულტეტმა მიაღწია ერთგვარ წარმატებებს, ამ მიმართულებით ფაკულტეტმა შეძლო ორჯერ მოეწყო კონსულტაცია წიგნზე მუშაობის შესახებ, სტუდენტებს დაურიგდათ სადიპლომო შრომები და სხვა. სოცშეჯიბრში ჩაბმულია სტუდენტობის 95 პროც., დამკვრელობაში სტუდენტობის 34 პროც. სოცშეჯიბრის გაშლის საქმეში ზოგიერთ ჯგუფისა და სტუდენტების მიერ ადგილი აქვს საქმისადმი აშკარა, ფორმალურ დამოკიდებულებას.

დღემდის არ არის დაბეჭდილი პროგრამები სხვადასხვა დისციპლინაში როგორიცაა: საერთაშორისო ურთიერთობანი იმპერიალიზმის პერიოდში. 2. აზერბეიჯანის ისტორია და სხვა. ფილოსოფიის ისტორიის პროგრამა რომელიც შედგენილია პროფესორ ს. დანელიას მიერ აღმოჩნდა იდეოლოგიურად მიუღებელი საკვირველია—ნუთუ დღემდის დეკანატი არ დაინტერესდა პროფ. დანელიას ლექციებით, როდესაც მისი პროგრამა იდეოლოგიურად მავნე აღმოჩნდა. ფაკულტეტზე ადგილი აქვს ხშირ გაცდენას— მარტის პირველ 6 დღიურში საერთო გაცდენა უდრის 2,82 აქედან არასაპატიო 0,40, მეხუთე 6 დღიურში 4.59, აქედან არასაპატიო 0.75 პროც. ეს აიხსნება ფაკულტეტის თვითდინებაზე დაყრდნობითა და გაცდენებისადმი უსულგულო დამოკიდებულებით, რაც ხელს უწყობს და კიდევ უფრო ზრდის გაცდენებს. აი მაგალითიც—მესამე კურსის სტუდენტებს **ზედანიას** და **ბელანიშვილს** შემოაქვთ განცხადება, მოგვყავს მთლიანად. ზედანია განცხადებაში დეკანისადმი წერს „გთხოვთ მომცეთ 5 დღის შვებულება, რადგანაც მინდა მივეხმარო მშობლებს საგაზაფხულო მუშაობაში“ დეკანატის მიერ დადებულია რეზოლუცია: მიეცეს 5 დღის შვებულება პირველიდან 6 აპრილამდის, ცინცაძე. ფაქტი მეორე: იმავე ისტორიული ფაკულტეტის დეკანისადმი განცხადებაში გიორგი ბედანიშვილი წერს „გთხოვთ მომცეთ 10 დღის შვებულება 27 მარტიდან 7 აპრილამდის. სოფელში მივდივარ მშობლების ავადმყოფობის გამო, ექიმის მოწმობას წარმოგიდგენთ დაბრუნებისთანავე. რეზოლუცია „მიეცეს შვებულება 28 მარტიდან 5 აპრილამდის პირობით“ (ხელს აწერს დეკანი ა. მახარაძე.) ასე ხელგაშლილად „ეხმარება“ ფაკულტეტი სტუდენტობას შვებულების მიცემის საქმეში, მაშინ, როცა აღნიშნული სტუდენტები ტფილისში დასეირნობდენ და როგორც ჟურნალი ამბობს დღეგამოშვებით იმ პერიოდში ლექციებზედაც დადიოდენ. ჟურნალის ხმარების საქმეში ადგილი აქვს უხეშ დამახინჯებებსა და ძმა-ბიჭურ გადასწორებებს. როგორიცაა: 29/III ამოშლილია თითო ლექცია; 1/IV ამოშლილია სამი სალექციო საათი სტუდენტ შალვა ლოლუას არ დასწრების შესახებ. 30 ჯგუფის ჟურნალი სრულიად გაუპიროვნებულია გაცდენა-დაგვიანებები ამოშლილია ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი 109 ჯგუფში დეკანატის მიერ ამ უმსგავსობაზე კონტროლი არ წარმოებს ჯგუფების მიხედვით ცუდ მაჩვენებლებს იძლევიან № 107 ჯგუფი აქ პარტორგი ამხ. ძიმისტარაშვილია.

კომორგ გოზალიშვილის ჯგუფმა რეკორდი დაამყარა საერთო გაცდენებში. ამ ჯგუფში გაცდენა უდრის 261 საათს არასაპატიო მიზეზით 65 საათი. სისტემატურად აცდენდენ—**ჯავახიშვილი ალექსანდრე**—26 საათი, **ქიქოძე გივი**—12 საათი არასაპ. და სხვა. კარგ მაჩვენებლებს იძლევიან ისტორიული ფაკულტეტის მე-4 კურსის ფსიქოლოგიური სექცია და სხვ. ხშირია შემთხვევა როცა ლექციები იკითხება სიბნელეში მაგ: 108 აუდიტორია, [illegible] ბაში დეკანატის [illegible] მუშაობის შედეგად [illegible] ვას, ასე, მაგ: 60 ჯგუფს მესამე დღეს მიცემული ჰქონდა დასავლეთ ევროპის ისტორიაში ლექცია მაშინ, როდესაც იმავესაათში და იმავე აუდიტორიაში მიცემული ჰქონდა ლექცია სხვა ჯგუფსაც. ამან გამოიწვია არევ-დარევა და ლექციების გაცდენა. ასეთ ფაქტებს ბევრს იპოვით ისტორიული ფაკულტეტის სინამდვილეში. არ არიან სტუდენტები მიმაგრებული კათედრებზე და არა აქვთ მათ მიცემული კონკრეტული მითითებები. დეკანატი ნაკლებად ზრუნავს სტუდენტთა კულტყოფაცხოვრებისათვის. დამახასიათებელია დეკანის მოადგილის **ცინცაძის** სერიოზული განცხადება: „დადგენილება [გვაქვს, რომ 15 აპრილამდის მოვახდინოთ სტუდენტთა საყოფაცხოვრებო მდგომარეობის შემოწმება, მაგრამ ეს დღემდის არ ჩაგვიტარებიაო“.

თეატრის ბილეთებისა და ორდერების განაწილებაში ადგილი აქვს უთავბოლობას. ასე, მაგ: 100 ჯგუფში, სადაც 38 სტუდენტია, მიეცა 15 ცალი ბილეთი, ხოლო 109 ჯგუფში, სადაც 37 სტუდენტია მიღებული აქვთ 24 ბილეთი. ზოგიერთ ჯგუფს სრულიად არ მიუღიათ მეორე სემესტრში ბილეთები, მაგ: 80 ჯგუფი დეკანატის მიერ ასპირანტებზე ზრუნვაც მოისუსტებს ისტორიული ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ მიუხედავად ერთგვარი მიღწევებისა, დღემდის ჯერ კიდევ ვერ გარდაქმნა თავიანთი მუშაობა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მესამე საკავშირო შეჯიბრების „ საფუძველზე.

ი. მუჯირი
გ. ყალიჩავა.
ზ. რამიშვილი.

# მეტი ყურადღება პროლეტარულ სტუდენტთა საერთო ბინებს

მიმდინარე წელს, წარსულთან შედარებით, მეტი ყურადღება ექცეოდა სტ. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. მაგრამ მიუხედავად ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ არ არის შესრულებული უმაღლესი სკოლების მესამე საკავშირო შეჯიბრებაში მოცემული ვალდებულებანი. მოვიყვანოთ ფაქტები: სტ. ქალაქში სახ-უნივერსიტეტს დათმობილი აქვს 7, 6, 8 და 3 კორპუსის ქვედა სართული, სადაც ჩასახლებულია 1000 სტ. უნდა აღინიშნოს, რომ სტ. ჩასახლება არ მომხდარა დარგების მიხედვით ასე, მაგ: მე-6 კორპუსში ოთახი № 47 ცხოვრობენ სამ სხვადასხვა დარგზე მოსწავლე სტ. ასევე მე-7 კორპუსის № 50 ოთახში ცხოვრობენ 4 სხვა და სხვა ფაკ. სტუდენტები. ცხადია, რომ ეს მდგომარეობა ხელს უშლის სტ. კოლექტიურ მუშაობას და მათ მეცადინეობას, მესამე საკავშირო შეჯიბრებით გათვალისწინებულ გეგმაში აღნიშნულია სტ. უზრუნველყოფა თეთრეულით, ბალიშისპირებითა და სხვა. მაგრამ დღემდის მხოლოდ 70 სტ. დაურიგდა თეთრეული არ არის საერთო საცხოვრებლებში მოწყობილი წიგნის კარადები, ტანსაცმელის ჩამოსაკიდი და სხვა, რის გამოც სტუდენტებს წიგნები თავქვეშ უწყვიათ ბალიშის ნაცვლად, (მაგ. მე-8 კორპუსი, ოთახი № 42). კიდევ მეტი, ოთახები არ არის მომარაგებული აუცილებელი ინვენტარით როგორიცაა: ცოცხი, ვედრო, ფარდები, იატაკის გასაწმენდი ტილო და სხვა.

ოთახების უმრავლესობას არ აქვს დაცული შინაგანაწესი: დროზე დაწოლა, დისციპლინის დაცვა ოთახებში, დილით თავის დროზე ადგომა და სხვა. არ ექცევა ყურადღება სისუფთავის დაცვას. არ არის შემოღებული მორიგეობა. ნაწილი სტუდენტებისა არ დადის დილის ვარჯიშობაზე. სოცშეჯიბრება ოთახებსა და კორპუსებს შორის ფორმალურად არის გაშლილი. დღემდის არ მომხდარა მისი შემოწმება. შავი და წითელი დაფის გამოყენება ხდება არა სწორად, ასე მაგ: 8 კორპ. № 34 ოთახის მცხოვრებლები სრულიად უსაფუძვლოდ გააკრეს შავ დაფაზე და ამის გამო, მათ არ მისცეს ტაშტი, ვედრო და ცოცხი. ზოგიერთ ოთახში ადგილი აქვს წესრიგის დარღვევას, მაგ: მე-3 კორპუსი № 2 ოთახში სტუდენტები სისტემატურად არღვევენ წესრიგს, ჰიდაობენ, თამაშობენ ბურთს და სხვა, რითაც ხელს უშლიან ამხანაგების მეცადინეობას.

სანიმუშო ოთახად ითვლება მე-8 კორპუსში № 17 ოთახი. (მამასახლისი მიქელაშვილი). მე-7 კორპუსი № 1 ოთახი. (მამასახლისი კინწურაშვილი); მე-6 კორპუსის—24 ოთახი (მამასახლისი ბაზლაძე); ჩამორჩენილებია: მე-8 კორპუსი ოთახი № 9. (მამასახლისი სტურუა); მე-7 კორპუსი ოთახი № 50 (მამასახლისი გოლეთიანი); მე-6 კორპუსი ოთახი № 4. (მამასახლისი აბზიანიძე) და სხვა.

კორპუსებს შორის პირველობა ეკუთვნის 8 კორპუსს, შემდეგ 6 და 3, ხოლო ჩამორჩენილია მე-7 კორპუსი.

კორპუსებში სათანადოდ არ არის მოწესრიგებული განათება, განსაკუთრებით არ არის მომარაგებული ელნათურებით მე-7 კორპუსი.

სუსტია კორპუსებში კულტმასობრივი მუშაობა: წითელი კუთხეები არსებობს, მაგრამ კულტმუშაკები არ აწარმოებენ კულტურულ მასობრივ მუშაობას: სუსტია აგრეთვე წრეობრივი მუშაობა. მე-8 კორპუსში მოწყობილია საჭადრაკო წრე, მაგრამ არ მოეპოებათ არც ერთი ცალი ჭადრაკი. მე-7 კორპუსის წითელი კუთხე ძალზე პატარაა, რის გამოც გაზეთის კითხვა და ჭადრაკის თამაში უხდებათ ერთს და იმავე პატარა მაგიდაზე. წითელ კუთხეში არ არის რადიო არაა ნორმალური განათება: ჩამოყალიბებულია სალიტერატურო წრე, მაგრამ წითელი კუთხის გამგემ არც კი იცის ვინ არის წრის წევრი. მე-6 კორპუსის სამკითხველოში არ არის წიგნები დანომრილი და არაა შედგენილი კატალოგები. არ არის შენახული გაზეთების სრული კომპლექტები და სხვა.

კორპუსებში იშვიათად ეწყობა პროფესორ-ლექტორების საუბრები და კონსულტაციები. ჩატარებული იქნა სულ 4 ლექცია.

სტ. ქალაქს წელს მოწყობილი აქვს საკუთარი აბანო, მაგრამ შიგ ბანაობა შეუძლებელია, რადგან აბანოში თბილი წყალი არ მოიპოება. და რომ თავი გასწიროთ და ცივი წყალით გადასწყვიტოთ ბანაობა ამ ზამთარში, სალაროდან აბანამდის მაინც ვერ მიხვალთ, რადგან მუხლებამდის წყალი დგას. აბანო არ არის მომარაგებული ზეწრებით, საპნით და სხვა.

აბანოსთან ერთად სამრეცხაოც არის მაგრამ მხოლოდ ფორმალურად. იგი არავითარ მომსახურებას არ უწევს სტუდენტებს, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს ხელშეკრულება აქვს ამ დარგში სტ. ქალაქის დირექციასთან და სათანადო თანხაც გაღებულია.

კორპუსებში ვერ არის მოწესრიგებული საექიმო და სანიტარული მომსახურება. მესამე კორპუსში მოთავსებულია საექიმო პუნქტი, მაგრამ ექიმები ავადმყოფებს მხოლოდ თავის კაბინეტში ღებულობენ, ხოლო ავადმყოფებთან მისვლა მათი აზრით საჭირო არ არის. „ახლოა და რა გიჭირით კაბინეტში მოხვიდეთო“—განაცხადა ექიმმა დოლიძემ. ა/წ თებერვალში № 22 ოთახში მცხოვრები სტუდენტი შ. ხელაშვილი 4 დღე იწვა ბინაში. სტუდენტებმა რამდენჯერმე სთხოვეს ექიმს მოსულიყო და ენახა ავადმყოფი მაგრამ ექიმმა ეს არ ისურვა. მე-5 დღეს კი საჭირო გახდა ავადმყოფის საავადმყოფოში წაყვანა ავადმყოფობის გართულების გამო.

ყველა ზემოაღნიშნული ფაქტები მოწმობენ იმას, რომ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლებში საყოფაცხოვრებო პირობები სტუდენტთა კულტურული სანიტარული მომსახურება ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო მესამე საკავშირო შეჯიბრების მოთხოვნებათა სიმაღლეზე საჭიროა სტ. ქალაქის დირექციამ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დაუყონებლივ მიიღოს გადამწყვეტი ზომები ყველა აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად. რათა ამ გზით ხელი შეუწყონ სტუდენტთა საცხოვრებელი პირობებისა და აკადემიური მუშაობის გაუმჯობესებას, შეუქმნას სტუდენტობას ყოველგვარი პირობა მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და სასწავლო გეგმების წარმატებით შესასრულებლად.

**რეიდის მონაწილენი:** 1. ლომსაძე.
2. გუმბერიძე.
3. ამონაშვილი.
4. ჩოხელი.
5. ნადირაძე.

# ტფილისის სახელმწიფო

## რას ფიქრო[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდავოა, რომ სახ-უნივერსიტეტში თვალსაჩინოდ გაიზარდა წელს სტუდენტთა კულტ-მომსახურეობისათვის მზრუნველობა.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ თვალსაჩინოა ნაკლოვანებები სოც. ყოფაცხოვრების სექტორის მუშაობაში.

სექტორი დაკმაყოფილდა სტუდენტებისათვის 100 ცალი ზეწრის დარიგებით 1000 მაგიერ. ისიც ყველა უვარგისია და მოკლე.

დღემდის ვერ მოხერხდა სამრეცხაოს და წითელ კუთხეების მოწყობა. სტუდენტების განაწილება ოთახებში მოხდენილია მხოლოდ ფაკულტეტების მიხედვით (მე 8 და მე-6-ე კორპუსი) ისიც არასრულად.

საერთო ბინებში გეგმის მიხედვით უნდა ჩასახლებულიყო 32 %, ჩასახლებულია 28 %.

სტ. სამრეწველო და სასურსათო პროდუქტების მომარაგება სრულიად მოუწესრიგებელია სექტორის მესვეურები უცდიან კოოპერაციას. რასაც გაიღებს ეს ორგანიზაცია იმას წავიღებთ და გავანაწილებთო. ასეთ დაპირებებში მიდის მეორე სემესტრი.

სექტორის მიერ საპარიკმახეროს მოწყობის საქმეში არსებითად არაფერი გაკეთებულა. საპარიკმახეროში უსუფთაობაა და სხვ. პროფ. პედ. პერსონალის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით გეგმით გათვალისწინებული იყო 50.000 მანეთის გაღება, სექტორის მუშაკები გვიმტკიცებენ, რომ ეს ფული მოწვეულ პროფესორთა სასტუმროს ხარჯების დაფარვაზე მიდის. საკითხავია ეს მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაა თუ თანხების არა სწორად გამოყენება?

აღმშენებლობის და მომარაგების სექტორი აშენებს უნივერსიტეტის ახალ კორპუსებს, არემონტებს ძველს და ამარაგებს ახალ მშენებლობას. ინვენტარის მომარაგების მიზნით შეძენილია 2450 სკამი, 108 მაგიდა, 380 „ტაბურეტკა“ და 10 დაფა. მაგრამ ეს არ კმარა რადგან სკამების რაოდენობის ნახევარი კლუბს მოხმარდა ხოლო 10 დაფა რომ 150 აუდიტორიას არ ეყოფა, ესეც უდავოა. სექტორები იმედოვნებენ, რომ მალე რუსეთიდან ჩამოვა დაბარებული ლინოლეუმი და დაფებიც მაშინ გაკეთდება. აუდიტორიებში თითქმის არსადეს არ არის კარგი ცარცი. ანდა თუ არის იგი ცუდია და მხოლოდ ფხაჭნის დაფას. ანდა როგორ უნდა გაუძლოს დიდხანს ასე უვარგისად შეღებილმა დაფამ. ფიზიკურ-ქიმიურ კორპუსის აღმშენებლობა არა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხან ფული არ აქვთ ხან მუშა ხელი, ხან რკინა, ლურსმანი და ხე-ტყე და სხვ. ააშენეს აგურის ქარხანა აღმშენებლობის მოსამარაგებლად მაგრამ მარტო აგური ხომ არ კმარა. მშენებლობაზე 52 მუშა მუშაობს, მომარაგების მიზნით მიეცა 25 საბანი. სექტორი მხოლოდ ამით დაკმაყოფილდა. სექტორში შეგვატყობინეს რომ გამომუშავების საშუალო ნორმა უდრის 0. 2, 0—5. კაპიკს კუბიკურ მეტრზე, ბრიგადირები: ავეტისიანი და პისკალოვი კი აცხადებენ რომ თითო კუბიკური მიწის ამოღებაზე სამუშაოს ხელმძღვანელი ბონდელები დაგვპირდა 4 მანეთს. დასასრულს ორ-ორი მანეთი მოგვცა შემდეგ თვეში ერთი და 30 კაპიკი მოგვცა და ამჟამად კი 90 კაპიკს იძლევიან. ცხადია მუშაობის ასეთი მეთოდების შედეგად მშენებლობაზე შრომის ნაყოფიერება დიდი არ იქნება.

კ. ჯავრიშვილი, ტ. ჩიჩუა.

# ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ

უმაღლესი სასწავლებლის მესამე საკავშირო შეჯიბრში ჩაბმულია უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი და კათედრა, კათედრებს შიგნით გაშლილია ინდივიდუალური სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, შეჯიბრებაში ჩაბმამ რეალური შედეგი გამოიღო, თითქმის ყველა ფაკულტეტისა და კათედრის მუშაობაში მოხდა საგრძნობი გარდატეხა—გაუმჯობესებისაკენ. გაჩაღდა ნამდვილი ბოლშევიკური ზრუნვა აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

ამ მხრივ მიღწევები თითქმის ყველა ფაკულტეტს და კათედრას ახასიათებს. მაგრამ მათ მუშაობაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებები, რომელნიც ამ თავითვე უნდა გამოსწორდეს.

ცალკეულ ფაკულტეტზე ასეთი დეფექტია.

**სამართლის ფაკულტეტი.** პედ. პერსონალის გაცდენები უდრის 29,4 პროც. აქედან საპატიო 1.58 პროც., ხოლო არასაპატიო 1.36 პროც., აღებული ვალდებულებები მთლიანად 100 პროც. არ სრულდება. ასე, მაგ: ფაკულტეტს უნდა ჩაეტარებია 10 კონსულტაცია სტუდენტთა ქალაქში, დღემდის ჩატარებულია მხოლოდ სამი. 4 სახელმძღვანელოს დამზადების ნაცვლად დამზადებულია მხოლოდ სამი. არ ეწყობა კოლექტიური სვლები კინო—თეატრებში. ძალიან დაგვიანებით, მხოლოდ ამ რამოდენიმე დღის წინათ, სუსტი სტუდენტები მიამაგრეს ძლიერებთან.

ფაკულტეტში შემავალ ცალკეულ კათედრებში ძალზე ჩამორჩენილია საბჭოთა აღმშენებლობის კათედრა (გამგე დოც. გეგენავა). კათედრას არ აქვს სამუშაო გეგმა, გაცდენების უმრავლესობა სწორედ ამ კათედრაზე მოდის, არაა გაშლილი მუშაობა ჩამორჩენილ და მოწინავე სტუდენტებთან და სხვ კათედრა არ არის ჩაბმული მესამე საკავშირო შეჯიბრებაში.

აღებულ ვალდებულებებში გვხდება ზოგადი ხასიათის და არა კონკრეტული მუხლები. „ერთი საჯარო მოხსენების გაკეთება (პროფ. სურგულაძე, პროფ. ნანეიშვილი) „ქართულ ენაზე სახელმძღვანელოს თარგმნა“ (პროფ. ა. ვაჩეიშვილი). და სხვ.

**ბიოლოგიური ფაკულტეტი:** ყველაზე ჩამორჩენილია ზოოლოგიის კათედრა (გამგე პროფ. გ. ჯავახიშვილი.) წევრებისგან არ არის ჩაბმული სოცშეჯიბრებაში პროფ. გ. ჯავახიშვილი დოც. გოგობერიძე. ასისტენტები: დ. მელაძე და დ. ანთაძე. კათედრის ხელშეკრულება არ არის გაფორმებული სათანადოდ. მისი მუშაობა თვითდინებაზეა დამყარებული, კათედრას ერთხელაც კი არ დაუყენებია საკითხი სტ. წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის შესახებ სტუდენტებიც არ არიან დაინტერესებული კათედრების მუშაობით და არ ესწრებიან მის სხდომებს. კათედრა სრულიად არ უწევს ხელმძღვანელობას სტ. სამეცნიერო წრეს.

**გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტი:** მოწინავეებშია: გეოლოგიისა და გეოგრაფიის კათედრა, რომლებიც საერთოდ ნორმალურად მუშაობენ, ჩამორჩენილია ნიადაგმცოდნეობისა (პროფ. გედევანიშვილი) ნიადაგმცოდნეობის კათედრის გამგე დოც. გედევანიშვილი პირველ სემესტრში ყოფილა ჩაბმული სოცშეჯიბრებაში, მეორე სემესტრში კი ჩამორჩა კათედრა თითქმის არაფერს აკეთებს აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მეორე სემესტრის ნახევარი უკვე გავიდა.

მინერალოგიის კათედრაში (გამგე პროფ. თვალჭრელიძე) შემდეგი მნიშვნელოვანი ნაკლია, კათედრის გამგე ხშირად არ ესწრება დოცენტების და ასისტენტების ლექცია-სემინარებს, არ განუხილავთ და არ შეუმოწმებიათ სტუდენტთა ჩანაწერები და კონსპექტები. კათედრის სხდომების მოწვევასაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. ნაკლები მზრუნველობაა უმცროს მეც. მუშაკთა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. არ არის გაშლილი მოსამზადებელი მუშაობა სადიპლომო თემებისათვის კათედრის არც საჯარო და არც დახურულ სხდომაზე არ წაკითხულა მეცნიერული ხასიათის მოხსენებები.

**ლიტერატურული ფაკულტეტი.** არც ერთ კათედრას არ ჩაუტარებია მუშაობა სტუდენტთა შორის წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობისა და ნაწერების მეთოდიკის შესახებ. ასეთივე მდგომარეობაა კათედრების კაბინეტების ხაზით. კაბინეტებში მუშაობის საშუალება არ აქვს სტუდენტობას, არაფერი არ არის გაკეთებული სტუდენტთა დროის ბიუჯეტის გამოსარკვევად და მის სწრაფად გასანაწილებლად, არ არის აღკვეთილი სტუდენტების მიერ დროის უნაყოფო ფლანგვა.

ფაკულტეტის დეკანისა და კაბინეტების მიერ არ დაწყებულა მოსამზადებელი მუშაობა სადიპლომო შრომების გასაცემად. ფაკულტეტის დეკანატის განცხადებით ჯერ ადრეა მუშაობის დაწყება, რადგან თემები—შემოდგომაზე უნდა დაურიგდეს სტუდენტებს, რაც არსებითად ნიშნავს თვითდინებაზე დაყრდნობას.

არც ერთი კათედრის გამგე არ ესწრება კათედრის წევრების მეცადინეობას (4-6 საათი ექვს დღიურში, ფაკულტეტმა აიღო ვალდებულება სისტემატურად ჩაეტარებია ლექციები ქართულ თეატრისა და ქართულ-რუსული და ევროპული მუსიკის ისტორიიდან, ასევე მხატვრობიდანაც, რაც მას დღემდის არ შეუსრულებია.

**ქიმიური ფაკულტეტი:** ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ყველაა ჩაბმული ფიზიკური ქიმიის კათედრის წევრის დოც. კოკოჩაშვილის გარდა, რომელმაც პრინციპიალურად არ მოისურვა ჩაბმულიყო მასში. ყველაზე ჩამორჩენილია ფიზიკური ქიმიის კათედრა (გამგე ბ. კანდელაკი) თუმცა არც სხვა კათედრებზეა მაინც და მაინც სახარბიელო მდგომარეობა. ფიზიკური ქიმიის კათედრის გამგე არ ესწრება კათედრის წევრების ლექციებსა და სემინარების მეცადინეობას მათი შემოწმების მიზნით. არც ერთ კათედრას არ ჩაუტარებია სერიოზული მუშაობა სტუდენტებთან წიგნზე მუშაობის მეთოდიკის შესახებ და არ გადაუდგამს სათანადო ნაბიჯები, რომ დახმარებოდენ სტუდენტებს რუსული ლიტერატურის გამოყენების საქმეში. არ არის სისტემატური დახმარება სუსტ სტუდენტებზე. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს არა ორგანული ქიმიის კათედრა (გამგე პროფ. მოსეშვილი), რომელმაც გადადგა ნაბიჯები, თუმცა არა საკმარისი, რაც გამოიხატება იმაში, რომ ყოველ 6 დღიურში ატარებს 2 დამატებითი საათს სტუდენტებთან. ასევეა სასურსათო ქიმიის კათედრაც. კათედრის გამგეები მუშაობის სიმძიმის ცენტრის გადატანას აპირებენ აპრილის ბოლო რიცხვებისათვის, რაც რასაკვირველია ყოვლად დაუშვებელია საჭიროა ახლავე გაჩაღდეს მუშაობა ამ მიმართულებით.

კათედრებზე მიმაგრებული სტუდენტები არ ესწრებიან კათედრის სხდომებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ტექნიკური (გამგე პროფ. მ. ბექაია) და ფიზიკური ქიმიის კათედრა (გამგე კანდელაკი) არც ერთი კათედრა არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობასა და დახმარებას სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს.

კათედრებთან არსებულ ლაბორატორიების მუშაობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს სასურსათო ქიმიის ლაბორატორიის გარდა. ფიზიკური ქიმიის ლაბორატორია დღემდის მოუწყობელია. ტექნიკური, რაოდენობითი და ანალიზური ქიმიის ლაბორატორიებში სივიწროვეა არ არის უზრუნველყოფილი საჭირო ქიმიური რეაქტივებით ჭურჭლეულობით და პრეპარატების საჭირო რაოდენობით, რაც ხელს უშლის ნორმალურ მეცადინეობას ამის გამო მეცადინეობა არ აქვთ დაწყებული მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტებს ფიზიკურ ქიმიაში, მათ არც ზოგადი და ექსპერიმენტალური ფიზიკის კათედრები და ლაბორატორიები ჩამორჩებათ. აქაც დაახლოვებით ასეთივე სურათია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისინი არც კი არიან ჩაბმული სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობაში. მათ ხელმძღვანელთა განცხადებით ხელშეკრულებები წაღებული აქვს საწარმოო თათბირის ხელმძღვანელს. ბრიგადას მათ ვერ წარმოუდგინეს ამ ხელშეკრულების ასლები როგორ უნდა იბრძოლონ აღებულ ვალდებულებათა შესასრულებლად, როდესაც ბრიგადას გარკვეულად ვერც კი დაუსახელეს თუ რა უნდა გააკეთონ მათ ამ ხელშეკრულების ძალით. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს მათ ფორმალურ დამოკიდებულებას ამ ფრიად მნიშვნელოვანი საქმისადმი.

აი ასეთი სურათია ცალკეულ ფაკულტეტებზე და კათედრებზე, რაც კარგად ადასტურებს იმას, რომ ზოგიერთი კათედრა და ფაკულტეტი ფორმალურად მიუდგა საკავშირო შეჯიბრებაში ჩაბმის საქმეს და არ აწარმოებენ სისტემატურ მოწშობას აღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

საჭიროა ამ მხრივ გარდატეხის მოხდენა.

რეიდი: მ. ჩიკვაიძე, ა. კალაძე, ა. კანცხავა, ა. მურაჩაშვილი, შ. შარაშენიძე, მ. ჩხეტია, დ. რატიანი, მარო ხუნდაძე, ფ. თოდრია, ალ. ურუშაძე, ნ. ჭიკაშვილი, მამფორია.

# მოწინავე ფაკულტეტმა უნდა მოსპოს ფორმალიზმი

ეკ. ფაკულტეტმა პირველ სემესტრში, სხვა ფაკულტეტებს შორის სასწავლო გეგმების შესრულებაში და სოციალისტურ შეჯიბრებაში დაიკავა პირველი ადგილი. ფაკ. დროულად ჩაება მესამე საკავშირო შეჯიბრებაში.

ეკ. ფაკულტეტზე არის 6 კათედრა: ყველა კათედრა და კათედრის წევრი ჩაბმულია შეჯიბრებაში. ფაკულტეტმა გაშალა მუშაობა სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის ორგანიზაციისა და ჩამორჩენილ სტუდენტებზე დახმარების საქმეში. ჩატარებულ იქნა მოხსენება სტუდენტთა წიგნზე მუშაობის შესახებ აგრეთვე—საუკეთესო კონსპექტის შედგენაზე. სტუდენტებს შორის გამოცხადებული შეჯიბრება საუკეთესო კონსპექტის შედგენაზე. შეჯიბრებაში ჯერჯერობით ჩაბმულია 50 სტუდენტი. ფაკულტეტმა ჩაატარა აგრეთვე მუშაობა კათედრებზე მიმაგრებულ სტუდენტებთან. ფაკულტეტთან მოწყობილია სამეცნიერო ეკონომიური წრე, რომელსაც ეხმარება ფაკულტეტი. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები პროგრამებით ყველა დისციპლინაში ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი. სულ საჭიროა 30 პროგრამა, დაბეჭდილია 25. დღემდის არარის დაბეჭდილი 5 პროგრამა. აღნიშნული პროგრამები სასწრაფოდ უნდა იქნას დაბეჭდილი და დროზე დაურიგდეს სტუდენტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის პარტიული, კომკავშირული და პროფ. ორგანიზაცია ჯერ კიდევ ვერ ახორციელებს ყოველდღიურ კონკრეტულ ხელმძღვანელობას ჯგუფებში სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მაღალ საფეხურზე ასაყვანად, რის გამოც მთელ რიგ ჯგუფებში მესამე საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებები და აღებული ვალდებულებები ატარებს შაბლონურ და ფორმალურ ხასიათს. ფაკულტეტის პარტორგანიზაციას არ მოეპოვება ზუსტი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი პროცენტი კომუნისტებისა არის დამკვრელი; მით უმეტეს არ იცის თუ სტუდენტების რა პროცენტია ჩაბმული დამკვრელობაში. იგივე უნდა ითქვას ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციის შესახებ.

ეკ. ფაკ. პარტორგანიზატორი ჯიჯეიშვილი არ იცნობს პარტწევრ კონდიდატებს და მთელ რიგ ჯგუფების მუშაობას. ის შეეცადა თვალი აეხვია არა მარტო რეიდისათვის არამედ პარტიულ კომიტეტისათვის, რომ თითქოს მას სუსტები არც ერთი პარტწევრ—კანდიდატებიდან არ ყავს. მაშინ როდესაც სიმდვილეში 10 პარტწევრი კანდიდატია სუსტი. ასე მაგ: ი. ყაჭიური, ფირცხალაიშვილი, რ. გიორგაძე, ჩეჩელაშვილი, ი. კვანტალიანი და სხვა. ამას ემატება 19 პარტწევრ-კანდიდატი რომლებიც არ ირიცხებიან უნივერსიტეტის პარტორგანიზაციაში. არც რიგ ჯგუფის პარტორგები იცნობენ სუსტ სტუდენტებს. ასე მაგ: 74 ჯგუფის პარტორგმა ნოზაძემ განაცხადა „მე დღემდე არ ვიცოდი რომ მეფარის სუსტი ქონდა ეს მე გავიგე 10 აპრილს როცა სუსტების სია მოგვ[illegible]ოვეს".

ასეთია ჯიჯეიშვილის მზრუნველობა პარტწევრებზე ასე შეეცადა ჯიჯეიშვილი თვალი აეხვია ჩვენს.

ფაკულტეტის პროფორგანიზატორი ტ ჩაჩუა სრულიად უმოქმედოა.

ფაკულტეტის პარტიულ კომკავშირულ ორგანიზაციას არ შეუმოწმებია თუ როგორ არის ჯგუფებში გაშლილი ინდივიდუალური და ჯგუფური შეჯიბრება. სხვანაირად არ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტები, როდესაც მთელ რიგ ჯგუფებში სოცშეჯიბრის საქმეში ადგილი აქვს ფორმალიზმს, შაბლონს და ბიუროკრატულ დამოკიდებულებას შეჯიბრებისადმი. (შეჯიბრების ვალდებულებები დაჯღაბნილ ანაგლეჯ ქაღალდებზე და არ შეიცავს არავითარ კონკრეტულ შინაარს) მივიყვანოთ საილუსტრაციოდ ზოგიერთი ფაქტი: ეკონომიური ფაკულტეტის საფინანსო სექციის მეოთხე კურსის ჯგ. სტუდენტს ზინა კაშმაძეს აღებული აქვს ასეთი ვალდებულება „ვებმები სოცშეჯიბრში და ქვემოთ ჩამოთვლილ საკითხების შესრულებაში ვიწვევ ამავე ჯგუფის სტუდენტს ვალია ლატარიას. ვიღებ შემდეგის შესრულებას 1. დისციპლინის განმტკიცებას სრული ასი პროცენტით 2. საგნების თავის დროზე ჩაბარებას არა ნაკლებ საშუალო 4 ისა". იმავე ჯგუფის სტუდენტს ვარლამ ხარაბაძეს დადებული აქვს ასეთი ხელშეკრულება: „ვებმები სოცშეჯიბრში და ვიწვევ ამავე ჯგუფის სტუდენტს დოლიძე ხჯაშვილს შემდეგ მუხლებში 1. საგნების თავის დროზე ჩაბარებაში. 2. არ გავაცდინო არც ერთი საათი უმიზეზოდ ლექციებზე 3. დისციპლინის განმტკიცებაში". ასე ფორმალურად და შაბლონურად აქვს შედგენილი შეჯიბრების ხელშეკრულებები მთელი რიგ სხვა სტუდენტებს. კიდევ უფრო შაბლონურად არის შედგენილი დამკვრელობის ვალდებულებები; მაგ. სავეგმო სექციის № 40 ჯგუფის მესამე კურსი სტუდენტი ა. ბიწაძე იღებს ასეთ ვალდებულებას „მე ქვემოთ ამაზე ხელის მომწერი ალექსანდრე ვასილის ძე ბიწაძე თავს ვაცხადებ დამკვრელად და ვვალდებულობ შემდეგს: 1. 1934/35 სასწავლო წლის მე II სემესტრში გათვალისწინებულ ყველა დისციპლინებში აკადემიურ ნიშნებს მივიღებ არა ნაკლებ კარგისა ა. ბიწაძე".

ასევე უპასუხისმგებლოდ და ფორმალურად აქვს შედგენილი დამკვრელობის ფურცელი სტუდენტებს: კ. ჯვარშეიშვილს, ლატარიას, გიკოშვილს, ახვლედიანს, ისრაილოვს, კაპანაძეს და სხვებს ზემო მოყვანილი ნიმუშები სოცშეჯიბრისა და დამკვრელობის ვალდებულებათა ნათლად მოწმობს, რომ მესამე საკავშირო შეჯიბრებაში აღნიშნული ამხ. ამხ. ჩაებენ ფორმალურად, მათ არ აუღიათ არავითარი ისეთი ვალდებულებები, რომლებიც მიმართული იქნებოდა სწავლების ხარისხის ამაღლებისაკენ როგორცაა, მაგალითად: სასწავლო მასალის მეტი რაოდენობით დამუშავება, წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა, სანიმუშო კონსპექტების შედგენა, კულტურული დასვენება, საკუთარი ბიბლიოთეკის შეძენა, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა და წაკითხვა და სხ. სწორედ ეს შეადგენს მესამე საკავშირო შეჯიბრების ძირითად ამოცანას, საჭირო იყო ფაკულტეტისა და პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციას ოპერატიულად მოეკიდა ხელი შეჯიბრების გაშლისათვის და შეჯიბრების ხარისხის ამაღლებისათვის. ფაკულტეტის პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ კარგად უნდა გაიგოს, რომ **„სტუდენტობასა და პროფესორს შორის ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრების გაშლა, ბრძოლა, შაბლონურობასთან, ბიუკრატულ მახინაციებთან და ფორმალიზმთა წარმოადგენს თვითეული სახსწავლებლის ნაყოფიერი მუშაობის გადამწყვეტ პირობას"** ამას მიგვითითებს მესამე საკავშირო შეჯიბრების ინსტრუქცია.

თუ III საკავშირო შეჯიბრების გაშლის საქმეში ადგილი აქვს ფორმალიზმისა და შაბლონის შემთხვევებს, უარეს სურათს იძლევა აღებული ვალდებულებათა შესრულება ცალკე ჯგუფებში, მაგალითად, № 11, 40, 50, 96 ჯგუფებში. დისციპლინის განმტკიცებასა და გაცდენების ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ნაცვლად ზოგიერთი ჯგუფის მდივნები ჩქმალავენ ცალკე სტუდენტების მიერ დისციპლინის დარღვევისა და საათების გაცდენას, რისთვისაც შლიან ჟურნალიდან გაცდენილ საათებს; ასე, მაგალითად: 96 ჯგუფში 24 მარტს ამოშლილია სტუდენტ თოლადაძის და რაზმაძის მიერ გაცდენილი საათები. № 41 ჯგ. 20 თებერვალს ამოშლილია ჟურნალიდან გ. ბირკაიას და გოგუაძის მიერ გაცდენილი საათები. ასევე ხდება სხვა ჯგუფებშიც. ადგილი აქვს აგრეთვე აშკარა ლიბერალურ დამოკიდებულებას გაცდენისადმი მთელ ჯგუფებშიც ჯგუფი 26, 46, 50. სტუდენტებს საპატიო მიზეზად უთვლიან გაცდენას ყოველგვარი გასამართლებელი საბუთისა და კონტროლის გარეშე, რის გამოც აღნიშნულ ჯგუფებში გახშირდა ე. წ. „საპატიო" გაცდენა.

ზოგიერთმა ჯგუფმა დამახინჯებულად—გაიგო თეატრში და კინოში კოლექტიური დასწრების საკითხი. ამ მიზნით ტოვებენ ლექციას და მიდიან თეატრში ან კინოში. ასე, მაგალითად, № მე 7 ჯგუფის სტუდენტთა უმრავლესობამ 19 მარტს ისარგებლა იმით, რომ კარბელაშვილმა დაიგვიანა ლექციაზე და წავიდენ კინოში. ლექტორი კი მოვიდა და ლექცია ჩაატარა დარჩენილ სტუდენტებთან. ასევე იმავე სტუდენტებმა გააცდინეს ლექცია გეგმიანობაში და წაბრძანდნენ თეატრში. 104 ჯგ. ნაწილმა სტუდენტებისა მარტში დატოვა პოლიტეკონომიაში დამატებითი ლექცია და წავიდა საქეიფოდ. არის შემთხვევები, როცა ლექციები ტარდება სიბნელეში მხოლოდ იმ მიზნით, რომ „გეგმა შესრულდეს", მაგალითად: ლექტორმა გოგებაშვილმა 1 აპრილს ლექცია ჩაატარა ბნელ აუდიტორიაში. ასეთსავე სიბნელეში ჩაატარა ლექცია ლექტორმა კარბელაშვილმა, მის ლექციას ესწრება მხოლოდ 50%.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სემესტრის შედეგად დაჯილდოვებაში ადგილი ჰქონდა შეცდომებს; ასე, მაგ.: დაჯილდოვებული იქნა სტუდ. ფალავანდიშვილი, რომლის საშუალო ნიშანი არის -4,3.

სტუდენტებზე თეატრის ბილეთების განაწილებაშიც აქვს ადგილი შეცდომებს რიგ სტუდენტებს ჯერჯერობით სრულიად არ უსარგებლიათ თეატრის ბილეთით მაშინ, როდესაც ზოგიერთ ამხანაგს განსაკუთრებით ე. წ. „პასუხისმგებელ მუშაკებს", მიღებული აქვთ რამდენიმეჯერ. ასე, მაგ.: პროფკომის თავმჯდომარე ჩაჩუას წაღებული აქვს ბილეთი 9-ჯერ. საჭიროა მიექცეს მეტი ყურადღება სტუდენტთა კულტურულ მომსახურეობას.

პირველ სემესტრის ნაკლოვანებანი ეკონომიურ ფაკულტეტის პარტ-კომკავშირულსა და პროფორგანიზაციას ავალებს კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ ბრძოლა სწავლების მაღალი ხარისხისათვისა და ნამდვილი ბოლშევიკური მაჩვენებლებისათვის. ამისათვის კი საჭიროა მუშაობისა და ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნას აკადემიურ ჯგუფებზე და მთავარი ყურადღება მიექცეს ცოცხალი ადამიანების მუშაობას, მათ დარაზმვას III საკავშირო შეჯიბრების ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

რეიდის მონაწილენი:

**გ. გვიშიანი, ალხაზაშვილი, ტოფაძე, ე. გულადიანი, ა. ჭითანავა, ა. მუჯირი, კ. სიმონია.**

# თვალთ მაქცობის იშვიათი ნიმუში და სოცშეჯიბრება სიის მიხედვით

**(ტფილისის სახუნივერსიტეტის მუშფაკი)**

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის მუშფაკი ჩაბმულია მესამე საკავშირო შეჯიბრში. მიუხედავად იმისა, რომ მუშფაკის სამკუთხედს დიდი დრო გააჩნდა წინასწარი ორგანიზაციული—პრაქტიკული მუშაობის ჩასატარებლად. ამ მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხებს დღემდის ფორმალურ-ბიუროკრატიულად ეპყრობიან აი ფაქტები: სოცშეჯიბრება გაშლილია ფორმალურად ცალკე აკადემიურ ჯგუფებში. ასე, მაგალითად: **„მე მარო ავალიანი ვიწვევ ვერა ჯაფარიძეს და ბეჭვაიას შემდეგ მუხლებში: ვიბრძოლო აკადემიურ წარმატებაზე, დისციპლინაზე, არ გავაცდინო ლექციები უმიზეზოდ. არ გავაცდინო არც ერთი კრება უმიზეზოდ—მარო ავალიანი. სოცშეჯიბრების სია ვაცხადებ დამკვრელად და ვიწვევ ყველა ამხანაგებს ყოველგვარ საგნებში ჩემი აკადემიური ცოდნის ასამაღლებლად, რაც შემიძლია არ გავაცდენ გაკვეთილებს უმიზეზოთ არც ერთ მეცადინეობას, დავესწრები ყოველგვარ კრებებზე (სტილი მათი) ა. ხანიაშვილი.**

არის აგრეთვე მეორე „სტანდარტის" ყალიბის სოცშეჯიბრების ფორმატი სადაც პარტორგანიზატორი **ორდენიძეა** იმ ჯგუფში **„დილის მეოთხე პირველი ჯგუფი** სოც.-შეჯიბრებისა და დამკვრელობის სია სოც-შეჯიბრების მუხლები 1. ვეცადოთ მივიღოთ კარგი და ფრიადი ნიშნები. აკადემიური წარმატებისათვის 2. ავიყვანოთ მძლავრებმა მსმენელებმა ბუქსირზე სუსტი მსმენელები გამოსწორების მიზნით. 3. საზოგადოებრივ კულტურულ მუშაობაში მივიღოთ აქტიური მონაწილეობა. 4. მტკიცედ დავიცვათ დისციპლინა და არ გავაცდინოთ არც ერთი საათი უმიზეზოთ.".

**გამომწვევი:** ჩხეტიანი ი. ბალაური ლ. მარგიანი ე. თევზაძე ლ. აფერიდონიძე გ. მარტიაშვილი და სხვ. **გამოწვეული:** ნიჟარაძე ლ. ჯიოშვილი გ. ორდენიძე ნესტორ, თეთრაშვილი გ. ნათენაძე ა. ალალაშვილი პ. და სხვ.

ასეთი **„გამასხარავებული"** ფორმითაა აგებული სოცშეჯიბრების მუხლები. მუშათა ფაკულტეტის სამკუთხედი არავითარ ხელმძღვანელობას არ უწევდა ამ საქმეს სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა, ალმასბიუროს ხელმძღვანელობაც ბიუროკრატიულია.

არ ხდება მესამე საკავშირო შეჯიბრების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების მიერ, არ არის კონკრეტული და საქმიანი ხელმძღვანელობა ცალკე აკადემიურ ჯგუფებზე. მესამე საკავშირო შეჯიბრების შემოწმების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: არ წარმოებს წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის დანერგვა და არ ხდება სტუდენტების მიერ მხატვრული ლიტერატურის კითხვა. არ არის გამტკიცებული შრომის დისციპლინა. მსმენელთა გაცდენები პირველ სემესტრში იყო 1323 საათი, მეორე სემესტრის პირველ მეოთხედში კი 1362 საათი. ლექტორთა გაცდენები პირველ სემესტრში 236 საათი. მეორე სემესტრის პირველ მეოთხედში—408 საათი.

სტუდენტთა კულტსაყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის სამკუთხედმა ვერ გარდაქმნა მუშაობა ამ მიმართულებით თუმცა საშუალებები გააჩნია. პირიქით სამკუთხედის მიერ ადგილი აქვს თვალთმაქცობას, რაც გამოიხატება შემდეგში: სამკუთხედი მაშინ დაიწყებს **„ფაცა-ფუცს"** როცა მათი მუშაობის შემოწმება ხდება. ასე, მაგ: რეიდის თვალის ასახვევად 1014 რადგან იცოდა, რომ **რეიდი** ამოწმებდა სასადილოს, წინასწარი შეკვეთით სასადილოს გამგეს იძულებით ჩოდრიშვილმა, ტუხაშვილმა და ორდენიძემ შეაძენიეს ხორცი ბაზარზე 12 მანეთად კილო: მარტო კატლეთი დაუჯდათ 1 მანეთი და 40 კაპიკი იმისათვის, რომ რეიდისათვის თვალი აეხვიათ ჩოდრიშვილმა და ტუხაშვილმა სასადილოს გამგეს მისცეს დაკვეთა რათა პირველი და მეორე კერძი გაეშვა 1 მან. და 10 კაპ. როცა რეიდი მივიდა სასადილოში, ჩოდრიშვილმა ტუხაშვილმა ორდენიძემ და ნიკოლეიშვილმა ვითომცდა არ იცოდენ ისე შეეკითხენ „რა გაქვთ სადილად? კატლეტია? როგორ ყიდით? 1 მან. და 10 კაპ. რამდენჯერ გააკეთეთ კითხავენ მზარეულ ტაბუტაძეს—იანვრიდან 4 ჯერ ხომ ხედავთ ხორციანია მეტი რა ვქნათ ძმაო. სწორედ ამ დღეს დარჩა 88 პორცია ლობიო და გაიყიდა მეორე დღეს.

მართლაც ხორციანი სადილი იანვრიდან გაცემულია 4 ჯერ დანარჩენ დღეებში სულ არის უხორცო ცუდი ხარისხის სადილები—ერთ მანეთად.

სასადილოში არაა დამთავრებული რემონტი სამკუთხედის უთავბოლო მუშაობის გამო არ არის აგრეთვე კანალიზაცია, თევზები ირეცხება პატარა ტაშტზე და სხვა მუშფაკმა დღემდის ვერ მოაგვარა სამრეცხაოს საქმე, რის გამო სტუდენტს უჯდება ერთი ნაჭერი სარეცხის გარეცხა მანეთიდან მანეთნახევრამდის, რაც მსმენელის ბიუჯეტს აღემატება **მუშფაკის** კოოპერატივის განყოფილება არავითარ მომარაგებას არ უწევს სტუდენტებს სასადილოში და საერთო საცხოვრებელში არ არის დაცული სანიტარული პირობები. მიუხედავად სამკუთხედის დაპირებისა მთელ რიგ სტუდენტებს არ აქვთ ზეწარი (ნათაძე, გოგრიჭიძე და სხვ.) და დაპირება დარჩა **„ღაღადებად უდაბნოსა შინა"**. იმ დროს როცა სტუდენტები ვიწროთ ცხოვრობდენ (თითო ოთახში 10-20 კაცამდის) მუშფაკის დირექციამ მისცა ცალკე ოთახები **„პასუხისმგებელ"** სტუდენტებს **ტუხაშვილს, აბაკელიას.** მუშფაკის დირექციის უთაო მუშაობით პლეხანოვის პროსპექტზე არსებული 16 ოთახი მიეცა კერძო პირებს, მსმენელები კი გამოასახლეს იქიდან და შეასახლეს მუშფაკის საკლასო ოთახებში, ხოლო პირველი კურსის მსმენელები კი სრულებით უბინაოდ დარჩენ რის გამოც ბევრმა მათგანმა თავი დაანება სწავლას. საერთო საცხოვრებელში არაა მხატვრული გაფორმება. კლუბში არ არის **რადიო,** შიგ ჩამოდის წყალი, რის გამოც ჩამონგრეულია კედელი. არ არის საექიმო მომსახურება; თუმცა ჰყავთ ექიმი, მაგრამ მას მუშფაკში ვერასოდეს ვერ ნახავთ მაგ: მეოთხე კურსის სტუდენტი **კასრაძე** 7 დღე იყო ავად და მუშფაკის ექიმს ერთხელაც არ უნახავს. ექიმი არ ამოწმებს სადილებს, სისუფთავეს; ექიმს თავის კაბინეტიც გაუპიროვნებელი და სამარცხვინოდ აქვს, მაგ: კედელი ჩამონგრეულია შიგ გამეფებულია უსუფთაობა, კედელი მოხაზულ-დახატულია სალებავებით, ქალების სურათებითა და სხვ.

საჭიროა ასეთი თვალთმაქცობის მაგივრად მუშფაკის სამკუთხედი გადავიდეს საქმიან მუშაობაზე და ბოლო მოუღოს, **„პატიოსან"** ლაყბობას. ამ მეტად საპასუხისმგებლო პოსტზე უნდა იდგენ ცოცხალი ადამიანები.

ჩვენ მოვითხოვთ ტ. ს. უ. სამკუთხედის ჩარევას ამ საქმეში და დამნაშავეების პასუხისმგებლობაში მიცემას.

**ი, მუჯირი. ზ. რამიშვილი**

# უნივერსიტეტი შემოწმებაზე

## ვინ უწყობს ხელს გარღვევებს

ლიტერატურული ფაკულტეტის 81-82 ჯგუფი ცნობილია რუსულ და გერმანულ ენებში გაცდენებით, რის გამოც სტუდენტები უნაყოფოდ „დასეირნობენ“. რუსულ ენაში ფაკულტეტის მიერ ჯგუფები დაყოფილია სუსტებად და ძლიერებად. ამით ფაკულტეტმა და კათედრამ ჩაატარა „ოპერატიული“ მუშაობა, „კონკრეტული„ ხელმძღვანელობა. სინამდვილეში რუსული ენა სუსტ ჯგუფში კიდევ მეტ სისუსტის გზას დაადგა. ამაში ფაკულტეტთან და კათედრასთან ერთად დამნაშავეა თვით ლექტორი, რომელმაც ჯგუფებზე „ბევრი“ მუშაობა ჩაატარა, ე. ი. მეორე სემესტრში სულ სამი ლექცია წაიკითხა. რუსულის კათედრამ და ფაკულტეტმა ეს აპრილშიაც ვერ „გაიგო“. ასეთ მდგომარეობაშია ჩვენთან რუსული ენის სწავლება და ასე სრულდება ცეკას დადგენილება რუსული ენის სწავლების საქმეში.

გერმანულმა ენამ მეორე სემესტრში განუტევა სული. ჯგუფი ლექტორს უცდიდა პირველი დღის 11-დან პირველ საათამდის ლექტორი არ ჩანდა და სტუდენტებიც განაგრძობენ სეირნობას. მხოლოდ 5 აპრილიდან მოიცალა მისთვის დეკანატმა და გამონახა როგორც იქნა ლექტორი.

მათი სამარცხვინო გარღვევის გამოსწორება მოითხოვს რექტორატისა და სასწავლო ნაწილის უშუალოდ ჩარევას.

**ი. მარგიანი**

## აი როგორ მუშაობენ ჯოხაძე და ჩხეიძე

სახ. უნივერსიტეტის დამკვრელ სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა სასადილო (№ 235 გამგე ჯოხაძე) მუშაობდა და მუშაობს სამუშაო გეგმის გარეშე. სრულებით არ იცნობს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მესამე საკავშირო შეჯიბრების ვალდებულებებსა. და არც აქვს არავითარი კონკრეტული ნაბიჯი გადადგმული სადილის ხარისხის გაუმჯობესებისა, თვითღირებულების შემცირებისა და სასადილოს კულტურულად მოწყობის საქმეში. სასადილოს ადმინისტრაციის მიერ სადილის კერძებს ფასები ედება ყოველგვარ ნორმისა და წესის გარეშე, სასადილოს ადმინისტრაციის ნება-სურვილის მიხედვით. სადილის ერთ კერძს ყიდიან თვითღირებულების მიხედვით, მეორე და მესამე კერძის ფასებში კი იგებენ. ასეთი არარეალური ფასების დაწესებითა და სადილის ფასების გადიდებით იგებს სასადილო, რასაც ადგილი არ უნდა ჰქონდეს დახურულ სასადილოებში. მაგ: პირველ აპრილს გადაცემული იყო 339 მანეთისა და 92 კაპიკის პროდუქტი. ამ პროდუქტისგან დამზადდა 1048 კერძი, რაც გაყიდული იქნა 543 მან. და 25 კაპიკად, ე. ი. სასადილომ ამ დღეს მოიგო 203 მან. და 93 კაპიკი. ამას ისიც ემატება, რომ ეს დარიცხვების ნორმები „გამოშავებულია“ თვით ადმინისტრაციის მიერ თავის სურვილისამებრ. სადილის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია, რაც გამოწვეულია კერძებში წესით გათვალისწინებული პროდუქტების შემადგენლობის სიმცირით. მაგ: პირველ აპრილს დამზადებული იყო ბორში, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: კომბოსტო 54 გრამი. [წესით უნდა ყოფილიყო 75 გრამი.] ასევე ჭარხალი, ხოლო სტაფილო არ ჰქონია, უნდა ჰქონოდა 10 გრამი და სხვა. მსგავსი მდგომარეობაა სხვა სახის კერძების დამზადებაში. ხშირი შემთხვევაა აგრეთვე, როცა დამზადებული კერძის მიღება შეუძლებელია. მაგ: 9/IV დამზადებულ ლობიოს ჰქონდა ძალზე ბევრი წიწაკა, 2 აპრილს გამოშვებული იყო სრულიად უვარგისი ხორცისაგან დამარილებული და უგემური სოუზი რის გამოც ბევრმა მომხმარებელმა მიატოვა სადილი. კერძების ანალიზი არ ხდება სისტემატურად. მიმაგრებული ექიმი [ჩხეიძე] ყოველგვარი შემოწმებისა და ანალიზის გარეშე ჟურნალში წერს: „დღეს სადილი დამაკმაყოფილებელია“ „დღეს კარგია,“ „დღეს ფრიადი“ ხან წერს: პური ჩანგლით უნდა იქნეს მიწოდებული და სხვა. ექიმ ჩხეიძეს, ასე, სრულიად უპასუხისმგებლოდ გამოჰყავს დასკვნები მაშინ, როცა სასადილოში გამეფებულია ანტისანიტარია. ქვაბები გაურეცხავია, დამზადებული სადილით სავსე ქვაბები თავლიაა, ჩანგლები და კოვზები ჟანგიანი, ასე პსურს ექიმ ჩხეიძეს აგვიხვიოს თვალები. როცა სასადილოს საწყობში ყრია დამპალი ჭარხალი, რომელსაც იყენებენ სადილების დასამზადებლად, ექიმმა ჩხეიძემ არც კი იცის თუ საიდან აქვს შესასვლელი საწყობს. ასეთია უპასუხისმგებლო ექიმის „საქმენი საგმირონი.“

სასადილოს ადმინისტრაციისათვის სულერთია ვინ ისადილებს, ოღონდ სადილები გათავდეს სა... საათამდის. ამიტომაც სასადილოში სტუდენტებს და მეც. მუშაკებს მხარს უმშვენებენ სხვა გარეშე პირებიც. ეს უკანასკნელნიც ასწრებენ სადილის მიღებას, მაშინ როცა მეც. მუშაკები და სტუდენტები ხშირად უსადილოდ რჩებიან. შრომის სოციალისტურ მეთოდებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია; არც ერთი თანამშრომელი არ არის ჩაბმული ინდივიდუალურ სოცშეჯიბრებაში. პროფ.-რწმუნებული შალვა ჩხეიძე არხეინად გრძნობს თავს, ვინაიდან დღემდის არავითარი მუშაობა არ ჩაუტარებია.

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია... ამ სათანადო რეცეპტი უნდა გამოწეროს ექიმ ჩხეიძისა და სადა... თას ძილს-მიცემულ სასადილოს ადმინისტრაციის განსაკურნებლად და უზრუნველყოს სტუდენტთა და მეცნიერ მუშაკთა მასა გემრიელი და ხარისხიანი სადილებით.

რეიდის წევრ: **ი. ხვინგია**
**სირაძე**



სტუდენტობა გიდროლოგიის მეცადინეობაზე დოც. ყავრიშვილის ხელმძღვანელობით

## სამი ფაკულტეტი—სამი მაგალითი

ყველასათვის ნათელია ის თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალისტურ მეთოდების გამოყენებას სწავლების პროცესში, რომელიც წარმოადგენს საუკეთესო იარაღს ჩვენი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის. უნივერსიტეტის მთელი რიგი ფაკულტეტის სამკუთხედებმა ჯერ კიდევ ვერ გაშალეს მუშაობა სათანადოდ მესამე საკავშირო სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის საფუძველზე. ეს შეიძლება ითქვას საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე შედარებით რომელთაგანაც წინ მიდის გეოგრაფიულ-გეოლოგიური ფაკულტეტი. სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია მთლიანი შემადგენლობა. დამზადებულია 4-დან 2 სახელმძღვანელო.

მიუხედავად მიღწევებისა გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის სამკუთხედს ჯერ კიდევ არ მოუხდენია შემოწმება სოცშეჯიბრებაში გათვალისწინებულ ვალდებულებების არსებულ დეფექტების გამოსწორების მიზნით.

ფაკულტეტზე ირიცხება სულ 33 სუსტი სტუდენტი რომლებსაც ჩასაბარებელი აქვთ სამ-სამი საგანი. ესენი ამ უკანასკნელად მიმაგრებულია ძლიერებზე, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ სამკუთხედის მიერ არ ხდება ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია, შემოწმება და კონკრეტული ხელმძღვანელობა.

სოცშეჯიბრებაში გათვალისწინებული ზოგიერთი მუხლები არ სრულდება ასე, მაგ. გაზ. „კომუნისტი“ 68 ცალის ნაცვლად გავრცელებულია 25. ასევე არაა შესრულებული ფაკულტეტის მიერ სტუდენტთა ქალაქში 10 აკადემიური ხასიათის კონსულტაციის მოწყობა, ეს საკითხი დღემდის უყურადღებოდ არის დატოვებული. სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის აღრიცხვას არ ექცევა ყურადღება.

ამასთანავე სამარცხვინოა ის მდგომარეობა, რომ ფაკულტეტის მთელ რიგ ჯგუფებში სოცშეჯიბრება ატარებს აშკარა ფორმალურ ბიუროკრატულ ხასიათს; ამის მაგალითს იძლევა №№ 38 და 69 ჯგუფების სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის მუხლები და მათი შესრულება.

ამ მხრივ **არც ქიმიურ** ფაკულტეტს აქვს უკეთესი მდგომარეობა ჯერ კიდევ მთლიანად არაა გაფორმებული სოცშეჯიბრების მუხლები.

ფაკულტეტის მიერ არ წარმოებს ყოველთვიური შემოწმება სასწავლო გეგმისა და პროგრამების შესრულების მიმდინარეობისა. ფაკულტეტსა და კათედრებს, სტუდენტთა წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობის დანერგვის მხრით დახმარების გაწევის ორგანიზაციისათვის თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, არ შეუსწავლია სტუდენტთა კულტ-ყოფა-ცხოვრების პირობები სტუდენტთა მომსახურების გაწევის მიზნით. ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია ფაკულტეტის ხელმძღვანელობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეზე. ნაკლებად ღებულობენ სტუდენტები კათედრებზე მონაწილეობას ძალზე სუსტია ფიზკულტურაში ჩაბმა.

ფაკულტეტის პროფორგანიზაციამ, პარტიამ და კომკავშირის ორგანიზაციამ კი მართალია კრებაზე დაამუშავა სოცშეჯიბრების საკითხი, მაგრამ სოცშეჯიბრებაში გათვალისწინებული საკითხების შესრულებაზე მათ ჯერ კიდევ შემოწმება არ მოუხდენიათ, ფაკულტეტზე სტუდენტები არ არიან უზრუნველყოფილი მთელ რიგ საგნებში პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით. (არაორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია და სხვ.)

სუსტ სტუდენტებთან მუშაობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, მაგ: როგორიცაა № 123 და 124 ჯგუფები, სადაც ჯერ კიდევ 7 სტუდენტს ჩაუბარებელი აქვთ საგნები. მეორე კურსზე ნაწილობრივ ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე.

სასწავლო ცხრილი ზოგიერთ შემთხვევაში გადატვირთულია, მაგ: მეორე კურსის—ჯგუფის ყოველდღიური დატვირთვა ლექციით უდრის 10 ს., უფრო მეტიც, პირველი კურსის № 123 და 124 ჯგუფების განცხადებით „დილის 9 საათზე მოსული სტუდენტობა მიდის საღამოს 11 საათზე. ცხადია ეს ძალზე სცემს ლექციების ათვისების ხარისხიანობას.

ბიოლოგიურ ფაკულტეტზე გეგმები და პროგრამები დაყვანილია ძირეულ აკადემიურ ჯგუფებამდის, აღდგენილია გაცდენილი საათები. სახელმძღვანელოებიდან გამოცემულია ერთი. მზადდება 4

მიუხედავად ამისა ფაკულტეტის მუშაობას თან ახლავს ზოგიერთი დეფექტი; ასე, მაგ: ყველა დისციპლინაში არ არის დაბეჭდილი პროგრამები.

სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის არ არის ჯერ კიდევ გაშლილი მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

სოცშეჯიბრების მუხლებში აღნიშნულია რომ ვიბრძოლებთ სწავლების მაღალი ხარისხისათვის და საშუალო ნიშანს მივაღწევთ—3,6. ასეთი უსუსური ბრძოლა ვერ უზრუნველყოფს იმ ვალდებულებათა შესრულებას, რასაც ითვალისწინებს მესამე საკავშირო სოცშეჯიბრების ვალდებულებანი უმაღლეს სასწავლებლებში.

ფაკულტეტის სამკუთხედს ჯერ კიდევ შემოწმება არ მოუხდენია სტუდენტთა ყოფაცხოვრების სოცშეჯიბრების-დამკვრელობის მიმდინარეობის შესახებ.

სტუდენტებს ჯერ კიდევ არ აქვთ საშუალება აწარმოონ დამო... უკიდებელი მუშაობა კაბინეტ... და ლაბორატორიებში. ჯერ კიდ... არ არის მოსმენილი მოხსენე... კათედრებზე მიმაგრებული სტუდე... ნტებისა, რომლებზედაც ხელმძღვა... ნელობა სუსტია, არადამაკმაყოფ... ლებელია ფიზკულტურისა და წრე... ობრივი მუშაობა ფაკულტეტზე.

ფიზკულტურის წრეში ჩაბმული სამი კაცი 125. ჯგუფში 10 სუს... სტუდენტია რომლებიც მიმაგრებუ... ლია ძლიერებზე სამის გამოკლებით... აქაც და მთელ რიგ ჯგუფებში... სოცშეჯიბრება და დამკვრელობ... მოკლებულია კონკრეტულობას დ... ატარებს ფორმალურ ხასიათ... მაგ: პირველ მუხლში წერია: „ა... ექნეს დაგვიანების ადგილი ჩვ... მიერ, დავიცავ წესრიგს“ და სხვ... ასეთი ზოგადობითაა სავსე რიგ... სტუდენტების და ჯგუფების სოც... შეჯიბრებისა და დამკვრელობის... მუხლები. ასეთია 66 ჯგუფი და... სხვ.

აღნიშნული სამი ფაკულტეტის... მუშაობა მესამე საკავშირო შეჯ... ბრების შესრულების მიმდინარე... ბის საქმეში ნათლად ლაპარაკობ... რომ ჯერ კიდევ არასაკმაოდაა გ... შლილი მუშაობა მესამე საკავშირ... შეჯიბრებაში აღებულ ვალდებ... ლებათა შესასრულებლად მთე... რიგ უბნებზე, რის გამოსწორების... თვის აღნიშნული ფაკულტეტებ... სამკუთხედებმა ამათავითვე უნ... მიიღონ გადამწყვეტი ზომებ... რეიდის მონაწილენი: 1. ტ. პაპ... **ძე, ს. ვამცევლიძე, 3. ვ. შ... როზია, მ. ჩხიკვაძე.**

# ვის ხელშია აღრიცხვა

ტფილისის სახ-უნივერსიტეტის კომკავშირის კომიტეტის „მხ. კავალერიის" სახელო მშენებლობის ბრიგადამ, სტუდენტთა გაცდენა-დაგვიანებისა და მისი სწორი აღრიცხვის შესასწავლად, 23 მარტიდან 30 მარტამდის ჩაატარა „მხ. კავალერიის" რეიდი. ეკონომიური ფაკულტეტის 17 აკადემიურ ჯგუფში, ისტორიულის 8 აკადემიურ ჯგუფში, ფიზ. მათ. 6 აკად. ჯგუფში, ქიმიურის 5 აკად. ჯგუფში, ბიოლოგიურის 6 აკად. ჯგუფში, გეოგრაფ-გეოლოგიური 5 აკად. ჯგ. და სამართლის ფაკულტეტის 3 აკად. ჯგ. სულ 49 ჯგუფში რეიდში მონაწილეობა მიიღო 67 „მხ. კავალერისტმა".

აღნიშნულ ჯგუფებში რეიდის პერიოდში ადგილი ჰქონდა გაცდენა-დაგვიანების 505 შემთხვევას სტუდენტთა მიერ და 35 შემთხვევას ლექტორების მხრივ. სტუდენტების მიერ ამ პერიოდში გაცდენილია 1916 საათი და 25 წუთი. ლექტორების მიერ კი—58 საათი და 30 წუთი.

სტუდენტთა მიერ გაცდენილი საათების 11.3 პროც. (217 აკად. საათი) გაუტარებელია სასკოლო ჟურნალებში, რაც გამოწვეულია ჯგუფის აკადემიურ რწმუნებულების უყაირათო და დაუდევარი მუშაობით. გამეფებულია არასისტემატური და უსწორო აღრიცხვები, მაგ. სამართლის ფაკ. № 79 ჯგუფში.

23-დან 30 მარტამდის სტ. მიერ გაცდენილია სულ 79 საათი. აქედან ჟურნალში აღნიშნულია მხოლოდ 68 საათი.

მსგავს მოვლენას ვხდებით სხვა ფაკულტეტების ზოგიერთ ჯგუფებშიაც. მაგ. ეკ. ფაკ. № 45 ჯგუფი, 29 მარტს ორი საათი გააცდინეს შემდეგმა სტუდენტებმა: კოლუაშვილმა, ბარამაშვილმა, ციციშვილმა, ფალავანდიშვილმა და გედევანიშვილმა. მაგრამ მათი გაცდენები ჟურნალში გაუტარებელია. კიდევ მეტიც; ჯგუფის აკად. რწმუნებული დ. ალავიძე (კ. კ. წევრი) ლექციაზე გამოუცხადებელ სტუდენტებსაც ხშირად ჟურნალში აუღნიშნავად ტოვებს.

ზუსტად ეკ. ფაკ. საგეგმო სექციის მესამე კურსის № 46 ჯგუფი 28 მარტს. ლექცია ხამი საათით, დასტოვა სტუდენ. კალაძემ. (კ. კ. წევრი), მაგრამ ჟურნალში ის არ აღნიშნულა.

ამრიგად ჯგუფის აკად. რწმუნებული ცაგერეიშვილი (კ. კ. წევრი) ძალზე ცუდად მუშაობს და უპასუხისმგებლობას იჩენს.

ისტორიული ფაკულტეტის № 114 ჯგუფში 27 მარტს 4 საათი გააცდინეს სტუდენტებმა: ვ. კალანდიამ, ჯინჯორიამ და გ. ბახტაძემ, მაგრამ სასკოლო ჟურნალი აქაც „სდუმს".

მთელ რიგ ჯგუფებში ადგილი ჰქონდა სტუდენტების ლექციებიდან გაპარვას, რომელიც ყოვლად მოუთმენელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ასე, მაგალითად: ქიმიური ფაკ. 124 ჯგუფში 23 მარტს უკანასკნელი ორსაათიანი ლექცია დასტოვა ... ვერულაშვილმა (კ. კ. წევრი).

ეკ. ფაკ. № 50 ჯგუფში 27 მარტს ვ. ...რიამაც (კ. კ. წევრი) დასტოვა ორსაათიანი ლექცია და სადღაც გაქრა. მაგრამ ჟურნალში კი რატომღაც აუღნიშნავი „დარჩა". (ჯგუფხელი ვ. კაპანაძე) კ. კ. წევრი).

არის ჯგუფები სადაც „ძმა ბიჭურ გადაწყვეტებს" აწარმოებენ ასეთებია: გეოგრაფ-გეოლოგიური ფაკულტეტის 129 ჯგუფის აკად. რწმუნებული (ამხ. შარაძე, აკ. სულამანიძე კ. კ. წევრი), ეკ. ფაკ. ჯგუფი № 46. ბაბო ჭიპაშვილი, სამართლის ფაკულტეტი № 106 ჯგუფი და სხვ.

აღნიშნული ფაქტები ხმამაღლა ლაპარაკებენ ზოგიერთი ჯგუფის აკადემიური რწმუნებულებისა და საერთოდ ჯგუფის სამკუთხედის უდაოდ მიღუნებას თვალის ახვევის ცდების გატარება რასაც სასტიკად უნდა დავარტყათ, რომ ერთხელ და სამუდამოდ უკუვაგდოთ სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის ბრძოლაში ფორმალური დაუდევრობის საქმიანობის პრაქტიკა. ფაკულტეტებისა და ჯგუფების სამკუთხედებმა ასეთ სამარცხვინო სენს დროზე თავითვე უნდა მოუღონ ბოლო აღნიშნული ჯგუფების სამკუთხედები და სტუდენტები სამაგალითოდ უნდა დაისაჯონ რომ ამით სხვებმაც ისწავლონ. სოციალისტური მეთოდების: სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის ნამდვილად დანერგვისა და გაშლის საფუძველზე განვამტკიცოთ სასწავლო დისციპლინა სახ. უნივერსიტეტში.

სა. ა. ლ. კ. კ. კომიტეტთან არსებული „მხ. კავალერიის" ბრიგადა.

# ექვსი ჯგუფი შეჯიბრების გარეშე

## (ლიტერატურულ ფაკულტეტზე)

მესამე საკავშირო შეჯიბრების მსვლელობასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ლიტერატურულმა ფაკულტეტმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა.

მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ ფაკულტეტის მასშტაბით მესამე საკავშირო შეჯიბრების მიღებული ვალდებულებიდან არსებითად ძალიან ცოტაა გაკეთებული ასე, მაგალითად: ფაკულტეტის შეჯიბრების ვალდებულებაში ნათქვამია: მივაღწევთ გაცდენა დაგვიანების ნულამდის დაყვანას. სინამდვილეში კი ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია გაცდენათა რიცხვი როგორც სტუდენტებში, ისე ლექტორებში. ნაჯგუფში (რუსული მეორე კურსი) უკანასკნელ დეკადებში ტოროშკაძეს გაცდენილი აქვს 18 საათი. ლოკუსოვა ალექსანდრას 6 საათი. თოფურია მიხეილს 8 საათი და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექტორ-პროფესორთა არასაპატიო გაცდენა დაგვიანებანი ამ მხრივ თავი ისახელა ლექტორმა ჰეიშვილმა მაშინ როდესაც მის მიერ შედგენილ შეჯიბრების მუხლებში ნათქვამია—„არ გავაცდენ უმიზეზოდ არცერთ საათს." მიუხედავად ამისა ის ძალიან თვითნებურად იქცევა. ის ლექციებს ადრე ამთავრებს, გვიან ცხადდება და თუ, ვინცობაა. ხასიათი და განწყობილება სასურველი არ აქვს აცდენს კიდეც. ჰეიშვილს გაცდენების მხრივ არც გარდახოზაძე და ჩამორჩებიან.

ლიტერატურული ფაკულტეტის დეკანატის შეჯიბრების მუხლში ნათქვამია: 20 მარტამდის დასრულდეს მესამე საკავშირო შეჯიბრების მუხლების გაფორმება და წარმოდგენა კათედრებიდან. დანიშნული დრო დიდი ხანია რაც გავიდა მხოლოდ დღემდის გეგმის წარმოდგენაზე თავი არ შეუწუხებიათ.

ენათ. მეცნიერების კათედრის გამგე პროფესორი კ. დონდუა „დღეს ხვალობით" კვებავს დეკანატს და ჯერჯერობით რატომღაც ნაადრევად ცნობს შეჯიბრების გეგმის წარმოდგენას.

უსამართლობა იქნებოდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგის პროფესორ კ. კეკელიძის „გათანასწორება" და დონდუასთან მან თითქმის პირველად მოიტანა დასამტკიცებლად კათედრის შეჯიბრების ვალდებულებათა მუხლები. დასახელებულ ვალდებულებაში ნათქვამი იყო „ვივლი ლექციებზე თავის დროზე" და სხვა. მაგრამ, ფაკულტეტის შეჯიბრების კომიტეტმა ეს გეგმა დაბრუნა. კეკელიძემ წარმოადგინა მეტრე, მაგრამ ისიც არა კონკრეტულია და რაც მთავარია შეჯიბრებაში გათვალისწინებული მუხლები დღემდის არ სრულდება. გეგმაში ვკითხულობთ „დავეხმარები გამორჩენილ სტუდენტებს", მაგრამ სინამდვილეში ამ მხრივ არაფერი გაუკეთებია კათედრას. იქვე სწერია: ვიბრძოლებ „სტუდენტების ობიექტურად შეფასებისათვის" გამოდის, რომ ობიექტური შეფასება შეჯიბრების. ობიექტია და იგი თითქმის არ არის სავალდებულო ყველა ლექტორისათვის.

პროფ. შანიძე, ქართული ენის კათედრის გამგე წერს: კათედრის სასწავლო წლის დასაწყისშივე დამტკიცებულ სასწავლო გეგმას შეასრულებს უნაკლოდ 10 იანვრისათვის.

სოც შეჯიბრების მუხლად ასეთი საკითხის შეტანა არ არის მართებული. 10 ივნისამდის სასწავლო გეგმის შესრულება ისედაც სავალდებულოა.

უნდა აღინიშნოს, რომ არ ჩანს ფაკულტეტის სამკუთხედის ოპერატიული ხელმძღვანელობა მე III საკავშირო სოც. შეჯიბრების გაშლის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ჯგუფში გაფორმებულ შეჯიბრების ვალდებულებებში ნათქვამი არის, რომ აღმოვფხვრათ უმიზეზო-გაცდენა დაგვიანებები ის დღემდის გრძელდება. ნესტორ მიქაძეს (110 ჯგუფი) მიცემული ჰქონია უკანასკნელი გაფრთხილება, მან კიდევ არა საპატიო მიზეზით გააცდინა 22 საათი. ასეთი შემთხვევა რვამდისაა მთელი ფაკულტეტის მაშტაბით.

თავის უდისციპლინობით წარმატებას მიაღწია ქართული სექციის მესამე კურსმა აქ ძაღლი პატრონს ვერ სცნობს. ისე როგორც შარშან, წელსაც დაკარგეს ჟურნალი იმ მიზნით რომ „არა" არ ჩაწერილიყო და ჩაწერილიც დაკარგულიყო.

მესამე საკავშირო შეჯიბრების ვალდებულებათა დამუშავებას და მასში სტუდენტთა მთელი მასის ჩაბმა ლიტერატურულ ფაკულტეტზე დღესაც არ დამთავრებულა.

ფაკულტეტის სამკუთხედს თავიდან არ გაუმახვილებია ყურადღება ამ მიმართულებით, დროულად არ დამუშავებულა ჯგუფებში III საკავშირო სოცშეჯიბრების საკითხი. პარტორგანიზაციის, კომკავშირისა და პროფორგანიზაციის როლი ამ მიმართულებით მაინც სუსტია რის შედეგადაც მთელ რიგ ჯგუფებში 81, 82, 85, 24, 111 105 და სხვა. არ დამუშავებულა არ არის გაფორმებული შეჯიბრების ვალდებულებანი. ზოგ ჯგუფში კი აღებული ვალდებულებანი მეტწილად ზოგადად ფორმალურ ხასიათს ატარებს (56, 59 ჯგუფები) ზოგან კიდევ შეჯიბრების საკითხი მოვალეობის საკითხად მიაჩნიეს. შეადგინეს ერთნაირი, ისიც ოვლად უკარგისი, სტანდარტულ მუხლები და „მოვალეობა" ხელის მოწერით მოისტუმრეს. (გერმანული განყოფილების მეორე კურსი.)

სანიმუშოდ მოგვყავს ერთი ასეთი სიტყვა-სიტყვით მიღელი ჯგუფის. ენისა და ლიტერატურული ფაკულტეტის გერმანულ სექციის სტუდ. ადეიშვილი ვიწვევ ამხ. გალუსტიანს სოცშეჯიბრებაში და ვკისრულობ შემდეგ ვალდებულებებს:

არ დავიგვიანებ და არ გავაცდენ უმიზეზოდ ლექციებს, ვიბრძოლებ აკადემიური მაღალი ხარისხისათვის გავხდები თავისუფალი ორგანიზაციის წევრი, არ დავაკლდები არც ერთ ფაკულტეტის და უნივერსიტეტის კრებას გამოვიწერ გერმანულ გაზეთს წავიკითხავ მოხსენებებს ჯგუფში.

გამომწვევი: ადეიშვილი
გალუსტიანი

ამაზე შორს შეჯიბრებისადმი ფორმალური და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება ვერ წავა.

ლიტერატურული ფაკულტეტის მასშტაბით ჯგუფებს შორის სრულიად არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი მესამე საკავშირო შეჯიბრების ვალდებულების გაფორმება. პირდაპირ სამარცხვინოა ის ფაქტი, რომ მთელი ფაკულტეტის მასშტაბით 6 აკადემიურ ჯგუფს აქვს გაკეთებული ამ მიმართულებით—არ არის გაფორმებული შეჯიბრების მუხლები. საკვირველია ამ საქმეში რით შეუძლია იმართლოს თავი ფაკულტეტის სამკუთხედმა კერძოდ პროფორგანიზატორმა, ან ჯგუფის სამკუთხედმა? მაგალითისათვის დავასახელოთ ზოგიერთი ჯგუფი. სოცშეჯიბრის მუხლები არ არის გაფორმებული შემდეგ ჯგუფებში. 59 ჯგუფი. ევროპული სექციის მესამე კურსი სამკუთხედის წევრები ნიკოლაიშვილი, გავაშელაშვილი, მეუნარგია, ანდღულაძე 113 ჯგუფი: ბახტაძე, სარიშვილი, თარგამაძე, პაპავა ქართული მეორე 81—82 ჯგუფი. ებიაშვილი ივანე, იმერლიშვილი გიორგი, გულია პლატონ და საბაშვილი ნადია 85 ჯგუფი რუსული მეორე კურსი ქილიფთარი ქარდავა თავფარიძე კომორგი ასევე არა აქვს გაფორმებული სოცშეჯიბრების მუხლები ევროპულ მეოთხე კურს, ქართულ მესამე კურსს,-118 ჯგუფს და სხვა ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციას და საერთოდ სამკუთხედს არაფერი აქვს გაკეთებული საუკეთესო კონსპექტის კონკურსში შედგენაზე სტ. ჩიბმის შესახებ.

ნუთუ ამაზე შორს წავა უპასუხისმგებლობა და უსულგულო დამოკიდებულება მესამე საკავშირო შეჯიბრებისადმი. მაგრამ უფრო სავალალო ის არის, რომ შეჯიბრების არც ერთი მუხლი რომელიც კი გაფორმებულია ჯგუფებში არ არის რეალური და კონკრეტული მოვიყვანოთ რამდენიმე მეტად დამახასიათებელი მაგალითები: 110 ჯგუფის სტუდენტი გრიგოლ ვასაძე თავის სოცშეჯიბრის მუხლებში წერს: ვიბრძოლებ მაღალი აკადემიურ მომზადებისათვის და საგნებს ჩავაბარებ თავის დროზე დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით. გამოდის, რომ მაღალი აკადემიური მაჩვენებელი ყოფილა დამაკმაყოფილებელი ნიშანი და ასეთი უაზრობითაა მთელი ნაგლეჯი ქაღალდი უშნო ნაწერით აფერადებული.

იმავე ჯგუფიდან ქენია ნინიკაშვილი წერს „სასწავლო წლის შესრულებისათვის 100 % თავს ვაცხადებ დამკვრელად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს.

ნინიკაშვილს გავახსენებთ, რომ სასწავლო წელი ისედაც დასრულდება დედამიწა მზის გარშემო ჩვენზე დამოუკიდებლად მოძრაობს და იმოძრავებს კიდეც. ასეთი ფაქტი მრავალია, მაგრამ მოყვანილიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი იყოს თუ რა არის გაკეთებული ფაკულტეტის მასშტაბით მესამე საკავშირო შეჯიბრების ვალდებულებათა განაღდებისათვის ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად დეკანატის მიერ შეჯიბრების ვალდებულებაში მე-4 კურსებზე სადიპლომო შრომებისათვის თემებისა და საკითხების დამუშავება შეტანისა, ამ მიმართულებით დღემდის არაფერი გაკეთებულა და სხვა.

საჭიროა ყველა ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია ამას მოითხოვს მესამე საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის გაშლილი ბრძოლა.

რეიდის მონაწილენი:

**ხ. ჭილაია, ვ. მესხია, მ. დავითაშვილი, ვ. ყალიჩავა, ი. მარგიანი.**

# დამნაშავეს პასუხისმგებლობა მოეთხოვოს

სახ. უნივერსიტეტის დახურულმა კოპერატივმა დღიდან დაარსებისა ვერ გაუწია სტუდენტებს მოთხოვნილებათა მინიმალური მომსახურება. მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნდა ამის შესაძლებლობა. ამჟამად კოპერაციას გააჩნია ქონება 8535 მანეთი ნაღდი და საქონელი 9955 მანეთი, წარმოებებზე გაცემული და კერძო პირებზე დებიტორების სახით 31311. ამავე კოპერაციას გადაეცა სახ. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან 30130 მანეთი. ამას დაუმატოთ სტუდენტთა მიერ შეტანილი საპაიო თანხები და სახ-ბანკისაგან მიღებული სესხები.

მაგრამ სტუდენტთა კოოპერატივის გამგეობის უყაირათო მუშაობით ორი წლის მანძილზე ზარალი უდრის 23.409 მანეთს. ამას მიუმატოთ კიდევ 10123 მანეთი გადასახდელი თანხა.

კოპერაციის გამგეობა სრულიად უპასუხისმგებლოდ ეპყრობა გაცემული თანხების აკრეფას არის ფაქტებიც. სახ. უნივერსიტეტის აღმშენებლობის სექტორზე გაცემულია 150 მანეთი. ი. წერეთელზე ყოფ. მაღაზიის გამგე 3154 მან, მარკევიჩზე 812 მან. ალადაშვილზე შეშის დამამზადებელი 10117 მანეთი საგარეჯოს რაიკავშირზე 8000 მან. და სხვ. ასე უთავბოლოდ გაცემული თანხა უდრის 23,909 მანეთს.

გასული წლის მე-4 კვარტალში ზარალი უდრიდა 1416 მანეთს, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 4155 მანეთს. ამას მიუმატოთ სხვადასხვა ხასიათის 12366 მან. რაც შეადგენს საქონლის ბრუნვის 10 პროცენტზე მეტს ეს არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს.



საუკეთესო დამკვრელი სტუდენტი შ. კალანდარაშვილი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში

ახლა გადავხედოთ საქონლის ბრუნვის გეგმების შესრულებას 1933-34 წელში. ამაზე ლაპარაკი ხომ არ შეიძლება ამას ადასტურებს ზარალი 23,409 მანეთი, რომელიც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ. არც 34 წლის მე-4 კვარტალში და არც 35 წლის პირველ კვარტალშია კარგი მდგომარეობა. მე-4 კვარტალში ბრუნვა უდრიდა 66860 მანეთს. ნაცვლად 170000 მანეთსა ხოლო 1935 წლის პირველ კვარტალში იყო 27783 მანეთი ნაცვლად 90.000 მანეთისა ასე დაამთავრა სახ. უნივერსიტეტის კოოპერაციის გამგეობამ მუშაობა...

1934 წლის 7 ნოემბრიდან დღემდის შესულია 28 წევრი კოოპერაციის 4 წერტიდან კოოპერაციას დარჩა ერთი მაღაზია. აი ფარდულების გამრავლების ნიმუში. არსებულ მაღაზიაშიც უსუფთაობა უწესრიგობაა მას არ აქვს კულტული ვაჭრობის სახე ზემოთ მოყვანილი ფაქტები ადასტურებენ, რომ სადუქნო და სარევიზიო კომისია არაფერს არ აკეთებს და აშკარა უმოქმედობას იჩენენ.

ორგანიზაციათა კავშირი სრულებით არ ხელმძღვანელობს.

აქ მთავარია ის, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში შეჭრილია ინდივიდუალური „მეს" უპირატესობის პრინციპი გამეფებულია უპასუხისმგებლობა და საქმისადმი დაუინტერესებლობა. კოოპერაციის მუშაკების ყურადღება მიპყრობილია კოოპერაციის ქონების განიავებისა მისი ძმა ბიჭურად განაწილებისაკენ ასეთი მდგომარეობა მოუტევებელია სტუდენტთა დახურულ კოოპერაციისათვის ვინ არის დამნაშავე? ვფიქრობ კოოპერაციის ძველი გამგეობა მასთან ახალი ხელმძღვანელობაც, რომლებიც სასტიკად უნდა დაისაჯონ.

კოოპერაციის მიერ სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფა სახ. უნივერსიტეტში სამრეწველო საქონლით ამჟამად წარმოადგენს ვიწრო ადგილს და ვფიქრობთ პარტიული ორგანიზაცია და რექტორატი ასეთ უმსგავსოებას გამოუწერს საჭირო მალამოს.

**პარმენ მეტრეველი**

# ფიზკულტურულ აღზრდას მტკიცე ხელმძღვანელობა

გასულ წელთან შედარებით სახ. უნივერსიტეტის ფიზკულტურული წრეების მუშაობაში ერთგვარ გარდატეხას აქვს ადგილი. უნივერსიტეტის ფიზკულტურის საბჭოსთან ჩამოყალიბებულია: 1) ტანვარჯიშის 2) ჯომარდობის, 3) ძალოსნობისა და 4) ძლევოსნობის სექციები, რომლებშიაც ჩაბმულია. 160 კაცი. მათ შორის პარტიული 8, კ. კ. წ. 45., უპარტიო 107

ნორმები „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის" პირველი საფეხური ჩაბარებული აქვს 500 სტუდენტს. აქედან პარტიული 23, კ. კ. წ.—308 და უპარტიო 169. მეორე საფეხურის ნორმების ჩასაბარებლად ჩაბმულია 250 კაცი. უნივერსიტეტის სასპორტო სკოლები შეჯიბრებაში იწვევენ მთელ რიგი ინსტიტუტებს. სახ. უნივერსიტეტმა გამარჯვება მოიპოვა სატყეო ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო, კავშირ-გამბულობისა და ქალაქის ნაკრებ გუნდებთან შეჯიბრებაში.

აღნიშნული მიღწევებით ამოიწურება სახ-უნივერსიტეტის ფიზკულტურის საბჭოს მუშაობა. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის დამაკმაყოფილებელი იმ შესაძლებლობასთან შეფარდებით რაც სახ-უნივერსიტეტის ფიზკულტურის საბჭოს გააჩნია. ფიზკულტურის მუშაობა კვლავ ძველი წესით მიმდინარეობს, მისი მუშაობა არაა გარდაქმნილი მე-17 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე, აი ფაქტებიც: არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ჯგუფების მეცადინეობა ფიზკულტურაში; ხშირია სალექციო საათების უმიზეზოდ გაცდენა როგორც სტუდენტების, ისე ინსტრუქტორების მხრივ. ინსტრუქტორ იოსელიანის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 26 საათი, ვერულაშვილის მიერ 23 საათი, ნარმინიძის მიერ 15 საათი. ფიზკულტურის ლექციებს უმიზეზოდ აცდენენ აკადემიური ჯგუფებიც. ამ მხრივ რეკორდი დაამყარეს მე-4 კურსის შემდეგმა ჯგუფებმა. № 36, 4, 24, 55, 47 და მესამე კურსის 58, 59, 56 ჯგუფებმა.

ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ჯგუფის სამკუთხედის წევრები ფიზკულტურულ ვარჯიშობებს არ ესწრებიან, მაგ: 106 ჯგუფი.

არავითარი ზომები არ არის მიღებული გაცდენილი აკადემიური საათების აღსადგენად. ფიზკულტურის საბჭო მეცადინეობას ატარებს ზუსტი აღრიცხვის გარეშე რის გამოც ძალზე რთულდება გაგება თუ რამდენი საათი ცდება ასეთ არანორმალურ მდგომარეობას ამ თავითვე ხელი უნდა მოკიდონ ფაკულტეტის სამკუთხედებმა.

აღსანიშნავია პარტიულ-კომკავშირულ წევრთ არადამაკმაყოფილებლად ჩაბმა სექციებში. არასისტემატიურად ხდება სტუდენტთა შემოწმება ექიმის მიერ, ფიზკულტურულ მუშაობაში სრულიად არ არის ჩაბმული პედ. ტექნიკური პერსონალი, სუსტად არის გაშლილი პირველი და მეორე საფეხურის ნიშნების ჩაბარების საქმე. ვერულაშვილი აცხადებს რომ ეს ჩვენ გადავიტანეთ გაზაფხულის პერიოდისათვისო. გაზაფხული დადგა, მაგრამ რა კეთდება ამ მიმართებით. შეიძლება ითქვას რომ არაფერი. გულგრილ დამოკიდებულებას იჩენენ ფიზკულტურის ინვენტარის მოვლა-პატრონობაში. იკარგება ბურთები, ფუჭდება და იმტვრევა იარაღები, ფიზკულტურის ხაზით მასობრივ-კულტურული მუშაობა არ დგას თავის სიმაღლეზე, რაც გამოიხატება საერთო საცხოვრებლებში დილის ვარჯიშობის სუსტად მოწყობაში. სოცშეჯიბრება და დამკვრელობა ფიზკულტურულ მუშაობაში სავსებით მივიწყებულია არც ერთს არ მოეპოვება სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ფურცელი ალბათ ფიზკულტურის ხელმძღვანელობას დღემდის ვერ შეუგნია სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის მნიშვნელობა.

აღნიშნული დეფექტების გამოსწორება ბევრადაა დამოკიდებული პარტ-კომკავშირელთა ფიზკულტურის სექციების მუშაობაში ჩაბმაზე. უნდა გაიზარდოს ინსტრუქტორთა შემადგენლობაში პარტიულ-კომკავშირული ბირთვი უნდა მოწესრიგდეს სისტემატური აღრიცხვა და შემოღებული იქნეს ფიზკულტურულ საგნებში ნიშნის დაწერა.

ფიზკულტურით დაინტერესება ჩვენი ყოველდღიური ამოცანა უნდა იყოს, მაგრამ მარტო ინტერესი არ კმარა. საჭიროა ენერგიულად ჩავებათ მშრომელთა ახალგაზრდობის გაჯანსაღების საქმეში. ფიზკულტურა ამის საუკეთესო საშუალებაა. უფრო მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ დარგში მუშაობას, და უნდა ვიბრძოლოთ მესამე საკ. შეჯიბრების უფრო მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად ფიზკულტურის ყველა დარგში.

რეიდის მონაწ. } 1. ვ. კენჭაძე
2. ტატიშვილი
3. ა. ხიმონია

# ფიზკულტურა და სპორტი

ქალაქში პირველობაზე თამაშში უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდმა ორჯერ მოიგო პირველი კატეგორიის ორ გუნდთან—შეჯიბრებაში

30 მარტს ლენინის სტადიონზე უნივერსიტეტის ფეხბურთა გუნდი შეხვდა სატყეო ინსტიტუტის ფეხბურთელებს.

თამაში დასრულდა უნივერსიტეტის გუნდის ბრწყინვალე გამარჯვებით, საერთო შედეგი—6-2 უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე შეხვედრა მოეწყო 6 მარტს კავშირგაბმულობის ინსტიტუტის გუნდთან. უნდა აღინიშნოს რომ ამ დღეს უნივერსიტეტის გუნდმა პირველ ნახევარში ვერ გამოიჩინა საკმაო ინიციატივა და მოწინაამდეგემ უნივერსიტეტის გუნდის ბადეში მოათავსა ბურთი, მაგრამ მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. უნივერსიტეტის გუნდმა ხელთ იგდო ინიციატივა და გუნდის **კაპიტანის ელიავასა** და **ინაძის** მოხდენილი თამაშით ბურთი ორჯერ ზედიზედ გადის მოწინაამდეგის ბადეში. თამაში ამით დასრულდა საერთო შედეგი 3:1 უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ.

ეს ორი ბრწყინვალე გამარჯვება ლაპარაკობს, რომ უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდი ერთ-ერთი ძლიერ გუნდთაგანია ტფილისში. და დიდი პრეტენზია აქვს ქალაქის პირველობაზე.

აღსანიშნავია **ჟორდანიას, ელიავას, ინაძეს** და **გაგუას** მოხდენილი თამაში

12 აპრილს გუნდი ეთამაშება ინდუსტრიალურ ინსტიტუტის გუნდს, რომელიც ითვლება მოწინავე გუნდათ ტფილისში.

ა. ხიმონია
მ. ლოგჟანიძე

# 124 სტუდენტი

ეკ. ფაკულტეტის კომკავშირის ორგანიზაციამ ჯერ კიდევ გასულ წელს აიღო [illegible] თა დამოუკიდებელ მუშაობის დასანერგავად. [illegible] წლის მიღწევების შედეგად, თუმცა ძალიან გაჭიანურებით, მაგრამ მაინც დაჯილდოებულ იქნენ 7 ამხანაგი: ს. ფაჩულია, მ. გვაზავა, ს. ბოცვაძე, ვ. ბურჭულაძე, გ. ჯახუა, ბ. უჩანეიშვილი და უ. მელქაძე. თითოეული 100 მანეთის რაოდენობით.

კიდევ უფრო სერიოზულად მოჰკიდა ხელი კომკავშირის ორგანიზაციამ ამ საქმეს მიმდინარე წელს მესამე საკავშირო შეჯიბრებასთან დაკავშირებით. II სემესტრში კონკურსო კონსპექტების წერაში ჩაბმულია 124 სტუდენტი; მათში კ. კ. წევრია 92. ჩატარდა მათთან ამხანაგ **გ. ჯანელიძის** მიერ საინსტრუქციო თათბირი წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობის შესახებ. აღნიშნული ამხანაგები უკვე შეუდგენ პრაქტიკულად წერას კონსპექტებისა.

ს. ფაჩულია.

# პურის წერტი ცუდათ მუშაობს

სტუდენტთა ქალაქში გახსნილია პურის რამდენიმე სავაჭრო წერტი. უნდა აღინიშნოს, რომ მათი მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. აღნიშნული წერტებისგან ყველაზე ცუდათ მუშაობს № 15 წერტი: არ არის თავის დროზე პური, ადგილი აქვს მუდმივ რიგებს, რაც გამოწვეულია პურის არა ნორმალური მომარაგებით. ძალზე დაბალია პურის ხარისხი (ნახევრად ცომი და ძველი პური) და სხვა. უნდა იყოს პური სინამდვილეში ორი ხარისხის, არის მხოლოდ ერთი ხარისხის.

საჭიროა სტ. ქალაქის ადმინისტრაციამ მიაქციოს ყურადღება პურის წერტების მუშაობას.

ვ. ქუთათელაძე.

რედაქტორი—
სარედაქციო კოლეგია

# განცხადება

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა **აცხადებს სახუნტის პედპერსონალისა და სტუდენტების საყურადღებოდ** რომ მათ დაეთმობათ **ჩვენს გამოცემებზე 15 %** ფასდაკლება. წიგნების შეძენა შეიძლება უნივერსიტეტის კიოსკში.

სახუნტის გამომცემლობა.

# ჩაითვალოს გაუქმებულად.

ბორია ყურაშვილის სტუდ. მოწმობა.

რუსუდან გელოვანის სტუდ. მოწმობა.

ნინო გელოვანის სტუდენ. მოწმობა.

# სამნი არიან ტოლნი არიან

ირეკება ზარი.—სტუდენტები აუდიტორიებში მიეჩქარებიან.—გადის წუთები და იწყება ლექცია.—მათემატიკური სექციის 119 ჯგუფში ისმის აურ-ზაური.—ჯგუფხელი ყვირის, მას პარტორგიც ეხმარება, მაგრამ „წმინდა სამება„-მარულაშვილი თინა, ზარდიაშვილი მარო და თოფურიძე ნინო არ წყნარდება. შეწუხდა ლექტორი.—უკმაყოფილოა ჯგუფიც, მაგრამ „წმინდა სამების„ დაწყნარებას ვერავინ შეძლებს.—ისინი მედიდურად გრძნობენ თავს, თუ სურთ დაწყნარდებიან თუ არა და დაიწყებენ ლაპარაკს, ატეხენ ხმაურობას.—

— ვის რაში ესაქმება მე თუ წესრიგს ვარღვევ.—აცხადებს მარულაშვილი.

—ვის რა უნდა —უმატებს თოფურიძე.

—თუმცა საგანი ჩაუბარებელი მაქვს, მაგრამ ჩემს მაინც გავიტან —უმატებს ზარდიაშვილი.

ერთმანეთს კი ეუბნებიან:" ვერვინ მოვა ჩვენზედაო, ვიხტუნოთ და ვითამაშოთ მუდამ ლექციებზედაო, სესიები ჯერ შორს არის ნუგეშინის მასზედაო, „კარგებს" მაინც დაგვიწერენ არ გაგვცვლიან სხვაზედაო."

მაგრამ ივნისიც გვიახლოვდება... ვნახოთ, როგორ მოიქცევიან მაშინ!... ამას მათი მატრიკულიდან გავიგებთ.

პლ. ბ—ლ—ა.

# კოლექტივიზმს და ამხანაგობას გაურბიან

სახ.-უნივერსიტეტში 1421 სტ. ქალია. წლითი-წლობით უმჯობესდება ქალთა მეტერიალური საყოფაცხოვრებო პირობები. იზრდება ქალთა აქტივობა სწავლების საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ფრონტზე. დიდი უმრავლესობა ქალებისა წარმოადგენენ საუკეთესო ნიმუშს ახალ ადამიანებისას. სისუფთავით, კულტურული ცხოვრებით, ოთახების სადა და მარტივი მორთვით, კოლექტიური და ამხანაგური დამოკიდებულებით დისციპლინით, აკადემიურ და საზოგადოებრივ მუშაობით სწორედ ასეთს მიეკუთნება № 49, 26, 48, 20, 23 ოთახებში მცხოვქალები. (მე-8 კორპუსი) აღნიშნულ ოთახებში მცხოვრებ ქალების მიერ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცოდნის გაღრმავების მიზნით ხშირად ეწყობა კოლექტიური სვლა კინოებში და თეატრებში. კითხულობენ კოლექტიურად გაზეთებს, სხვადასხვა მხატვრულ წიგნებს, აწყობენ წაკითხულის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლას მუშაობენ წითელ კუთხეში. სხვადასხვა წრეში და ყოველივე ამას უთავსებენ აკადემიურ მუშაობას. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ მათი სუსტი მონაწილეობა თოფის სასროლო წრეში მუშაობს მხოლოდ სამი ქალი. [მატატაშვილი, კიკალიშვილი, ოსიძე] საჭიროა მეტი მუშაობა და ინტერესი თავდაცვა-ავიაქიმის სხვადასხვა წრეში სამუშაოდ. ამ სანიმუშო ქალების გვერდში მე-8 კორპუსში არიან ისეთი ქალებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ არიან განთავისუფლებული ძველი წვრილ-ბურჟუაზიული ჩამორჩენილობისაგან. ამის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს № 44 ოთახის მცხოვრები ქალები. ამ ოთახში ცხოვრობს 7 ქალი. ხელაშვილი, ბერიძე, რუხაძე, მამუკაშვილი, მსუქნიშვილი და სხვა საუბედუროდ ქალების უმრავლესობა კომკავშირის წევრებია. როგორია მათი ურთიერთ დამოკიდებულება? ურთიერთ შორის აქვთ თუ არა ამხანაგური დამოკიდებულება გარდა ერთისა ერთი მეორეს არ ელაპარაკებიან ლანძღვა-გინება და სხვ. არღვევენ საცხოვრებლის განაწესს, ხელს უშლიან სხვებს ხმამაღალი ლაპარაკით და სხვ. არ იციან ელემენტარული საკითხები ჰიგიენის დაცვის საქმეში, ოთახში ფენენ სარეცხსა და ხშირად არ იცავენ სისუფთავეს. ერთი პატარა მაგრამ მნიშვნელოვანი მაგალითი: რამდენიმე დღის წინ მათთან ოთახში შედის კომკავშირელი ვაჟი მათი ფიზკულტურაში გაერთიანების მიზნით სიის შესადგენად. ეკითხება ოთახის წევრებს „ვინ ცხოვრობს აქ, სახელი და გვარი ჩამაწერინეთო". მაგრამ ხმას არავინ იღებს. ვაჟი იმეორებს კიდევ კითხავს.

ბოლოს ერთმა იკისრა და ჩააწერინა ყველას გვარი და სახელი. ვაჟის ოთახიდან გასვლა და ოთახში საშინელი ლანძღვა, ხმაური დაიწყო ვინ გკითხავდა ჩემს სახელსა და გვარის ჩაწერას. მე შენ არ გელაპარაკები და არც ჩემი სახელი უნდა ახსენო" აი მარგალიტები ნუცუბიძის ბაგეებიდან დაბნეული. წვრილმანი, მაგრამ უკულტურობის, ჩამორჩენილობის საუკეთესო გამომხატველი. ყოველივე ეს გავლენას ახდენს მათ აკადემიურ დონეზე; უმრავლესობა აკადემიურად სუსტია მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამოდენიმე თვის შემდეგ უნდა გახდეს სოცშეჯიბრების პრაქტიკული მუშაკები, ახალი ოჯახის წევრები და მომავალი თაობ ს აღმზრდელები—ჯერ კიდევ ვერ არიან განთავისუფლებული ძველი ჩამორჩენილი ჩვევებისგან. შორს დგანან ახალი ყოფაცხოვრებისა და კოლექტივიზმისაგან. ყოველდღიური უკმაყოფილო კინკლაობითა და არა ამხანაგური დამოკიდებულებით მათ არ ჩამორჩება № 54 ოთახის მცხოვრებლებიც კერძოდ მიქაბაძე ნინო, ყოყობი, სახელგანთქმული—მას უნდა ოთახის წევრები თავის გავლენის ქვეშ იყოლიოს. მიმართავს ჭორიკანობას, სახელს უტეხს პარტიის წევრს მუშასა და აქტიურ მომუშავე ქალს, იძლევა ახალ-ახალ „განკარგულებას" და უხეშად ერევა სხვის პირად საქმეში. ამ ნიადაგზე ოთახში ხშირია აურზაური და არაწესიერი მიმართვა ერთმანეთისადმი საჭიროა კორპუსის სტუდბიურომ შეიწუხოს თავი აღნიშნულ ოთახებში სტუდენტების გადასაჯგუფებლად და მეტი საზოგადოებრივ, კულტურული მუშაობა ჩაატაროს—კერძოდ იმ ქალების მიმართ, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიისაგან.

ბრიგადა ტ. დოლიძე.
ხუციშვილი

მთავლიტი № 7065 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა-ლითოგრაფია. უნივერსიტეტის ქ. № 1 ტირაჟი 4000 შეკვეთა № 202